პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომი-
ტეტის და სრულ. საქარ. მ.,
გ., წ.-არმ. დ. მატროსთა დე-
პუტატების საბჭოთა ცენტრა-
ლურ აღმასრულებელ კომი-
ტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 (მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგი: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 134 პარასკევი, 16 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 16 ივნისი 1922 წ. № 134

ეროვნული

შაბათს, 17 ივნისს, დილის 9 საათზე საქართველოს კომ. პარტიის

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იწვევს ყველა რაიონული კომიტეტების მდივნების და რაიონული ორგანიზატორების თათბირს

თათბირი შესდგება თბილისის კომიტეტის ბინაზე.
ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.
თბ. კ. საორ. განყ გამგე **რუბენი.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

(ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘ)

1. თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების 1-ლ საბჭოს რწმუნებათა ვადა თავდება და თბილისის პროლეტარიატი ქალაქის მთელ მშრომელ მოსახლეობასთან ერთად იწყებს ახალ საბჭოს არჩევნებს.

2. ნახევარი წლის წინედ, 1-ლ საბჭოს არჩევნების დროს, თბილისის მუშებს საშუალება მიეცათ ცხადად და გარკვევით გამოეთქვათ თავისი აზრი იმ საკითხზე, რომელსაც მენშევიკები და საქართველოს მშრომელთა ყველა მტრები აყენებდნენ პირველ რიგში ყველგან და ყოველთვის: წარმოადგენს თუ არა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში სახალხო ხელისუფლებას, რომელიც გამოხატავს და აკმაყოფილებს მშრომელ მასსების ინტერესებს, სცნობენ თუ არა ისინი მას თავის ხელისუფლებად, თუ იგი მოხვეულია მათზე გარედან, ხიშტების ძალით და ისინი ითმენენ მას ძალაუნებურად, განსაკუთრებით კანონების, საგანგებო კომისიების და რევკომების ძალდატანებით.

3. მაშინ უშუალოდ არჩევნების წინ მენშევიკები ცდილობდნენ გამოეწვიათ თბილისის მუშებში მასსიური მოძრაობა, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების და წითელი არმიის წინააღმდეგ.

განიმეორეს მათ ეს ცდა ეხლაც. იციან რა რომ მათ ფეხიდან ნიადაგი გამოეცალათ, ისინი ცდილობენ გამოიყენონ ყოფილ ისაბაზი, რათა მორთონ ყვირილი ბოლშევიკების ტერორზე საქართველოში და ხალხის აჯანყებაზე მოსულთა ძალა უფლების წინააღმდეგ. მათი ცდა, დაესვათ საქართველოს საკითხი გენუის კონფერენციაზე, ჩაიშალა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰპოვეს ისეთი ავტორიტეტული მოკავშირე, როგორც ეპისკოპოსი ამბროსი, და მიუხედავად იმისა, რომ მთელი უცხოელი პრესა სავსეა ცნობებით აჯანყებაზე, რომელიც თითქო მოედო მთელ საქართველოს.

უფრო მეტი დამარცხებით დასრულდა მათი ცდა, გამოეწვიათ აჯანყება საქართველოში 26 მაისს. არ უშველა მათ თვით მჭიდრო კავშირმა ყველა შავრაზმულ და მემამულეთა პარტიებთან.

პირიქით, ამ კავშირმა საბოლოოდ ახადა ნიღაბი მენშევიკების ბურჟუაზიულ კონტრ რევოლიუციონურ სულს და სამუდამოდ ჩამოაცილა მათ პროლეტარიატი, რომლის ამოცანაა არა კავშირი ბურჟუაზიასთან, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მასთან უკანასკნელ ბრძოლაში სოციალიზმისათვის.

4. ნახევარი წლის წინედ საბჭოს არჩევნებმა, რომელიც ჩატარდა ახდილ კენჭის ყრით და თავისუფლად, ყოველგვარ ძალდატანების გარეშე, თბილისის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მონაწილეობით, დაგვანახა მენშევიკების სრული უნიადაგობა, უსაფუძვლობა და სიცრუე ყველა მათ განცხადებათა ვითომდა თბილისის პროლეტარიატის სახელით. თბილისის საბჭოს დიდი უმრავლესობა აღმოჩნდა კომუნისტებისაგან შემდგარი, არც ერთი მენშევიკი არ აირჩიეს საბჭოში თბილისის მუშებმა ეს იყო საუკეთესო პოლიტიკური ბარომეტრი თბილისის პროლეტარიატის განწყობილების. ასეთ ბარომეტრად უნდა იქნეს მეორე არჩევნებიც, პირველ საბჭოს მუშაობის 6 თვის შემდეგ. აქ უკვე აღარ არის გადასვლა რევკომების სისტემიდან არჩევითი საბჭოთა სისტემაზე.

აქ ხდება შეფასება თბილისის მუშათა მასსების მიერ დაყენებულ პირების სხვის მუშაობისა თვით მუშების მიერ.

5. ეხლა, ნახევარი წლის შემდეგ, საერთო ვითარება სხვაგვარია. მართალია, მენშევიკებმა ვერაფერი ისწავლეს და წარსულ არჩევნების გაკვეთილმა მათთვის უკვალოდ ჩაიარა, ვინაიდან ისინი წინანდებურად თუთიყუშის ჯიუტობით იმეორებენ თავის ძველ ზღაპარს იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება თითქო ხიშტებს ემყარებოდეს. მართალია ბატონ ჟორდანიები და მათი აგენტები მაინც კიდევ არ ისვენებენ, პირიქით აძლიერებენ პროვოკაციას დასავლეთში და აქაც, საქართველოში, ძალმომრეობას, შეურაცხყოფას და საბჭოთა რეჟიმის სხვა საშინელების შესახებ საქართველოს მშრომელებზე, მართალია, ქართველ პატრიარქმა ამბროსიმ, დასავლეთის რადიოს ცნობით, საღვთო წერილში საღვთო დასაბუთებაც კი გამოუნახა მენშევიზმს საქართველოში, მაგრამ მენშევიკების უკანასკნელმა გამოსვლამ დაამტკიცა, რომ თბილისის პროლეტარიატი უკვე აღარ აქცევს ყურადღებას მათ და არავითარ კვალს არ ტოვებენ ერთი და იგივე მტკიცებანი, რომელთაც ისინი დაუსრულებლივ იმეორებენ და რომელთაც აქარწყლებს ცხოვრების მთელი მიმდინარეობა. ეხლა თბილისის მშრომელ მოსახლეობის წინაშე დგას ამოცანა სამეურნეო ცხოვრების და პირველ რიგში ქალ. თბილისის კომუნალურ მეურნეობის აღორძინებისა.

6. პირველი საბჭო შესდგა პრაქტიკულ მუშაობის გზაზე და ამ მიმართულებით ბევრი რამ გააკეთა. პირველ ყოვლისა საბჭომ შეიგნო, რომ არც ერთი მეურნეობა არ შეიძლება მიზანშეწონილად წარმოებულ იქნეს მოსაზრებულ და სწორ გეგმის და ბიუჯეტის გარეშე. ასეთ ბიუჯეტის შედგენა ქალაქის მეურნეობის თითქმის სრული დაშლის პირობებში ფრიად ძნელ ამოცანას წარმოადგენდა, მაგრამ პირველმა საბჭომ მას თავი გაართვა. ასე, ქალაქის შემოსავალი, რომელიც უდრიდა იანვარში ბიუჯეტით განზრახულ ჯამის მხოლოდ ერთ მეოთხედს, შეადგენს ეხლა უკვე ნახევარზე მეტს (მის 74 პროც. და განაგრძობს ზრდას 9 მილიარდიდან იანვარში 18 მილიარდამდე აპრილში). შემდეგ მოხერხდა ერთგვარი წონასწორობის დამყარება შემოსავალსა და გასავალ შორის და ქალაქის ძლიერ დავალიანების აცილება.

7. წინანდელმა საბჭომ, როგორც არსებითად კლასობრივმა ორგანიზაციამ, ააგო თავის ბიუჯეტი მშრომელ კლასების ინტერესების თანახმად. შემოსავლის წყაროს შეადგენს პირველ ყოვლისა გადასახადი მოსახლეობის შეძლებულ წრეებზე და პირებზე, რომელნიც მრეწველობასა და ვაჭრობას ეწევიან. შემოსავლის თითქმის ნახევარი შემოვიდა გადასახადებიდან, ამასთან აღრიცხვის და საგადასახადო აპარატი სულ უმჯობესდებოდა, რამაც გამოიწვია შემოსავლის მუდმივი ზრდა (იანვარში 5, 9 მილიარდი, მარტში—8,3 მილიარდი).

8. მაგრამ გადასახადი საკმაო რაოდენობით შეიძლება შემოვიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში განვითარდება მრეწველობა და იმატებს რეალური ღირებულებანი. ძველ საბჭოს შეგნებული ჰქონდა, რომ მთავარი გამოსავალი არსებული კრიზისიდან მდგომარეობს ქვეყნის ნაყოფიერების ზრდაში, და მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალაქის წარმოებათა ორგანიზაციას და მუშაობას. საბჭომ მიიღო ისინი ყველა დანგრეულ და კატასტროფიულ მდგომარეობაში, მაგრამ ნახევარ წლის განმავლობაში მან მოახერხა გადაელახა ყველა სიძნელენი და ამ ჟამად გარკვევით შეიძლება აღნიშნულ იქნას საქმეთა გაუმჯობესება ქალაქის ყველა წარმოებებში. ასეთი გაუმჯობესების მაჩვენებელია შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა წარმოებებიდან (3, 5 მილიარდი იანვარში, 7, 7 მილიარდი მარტში). თუ ჩვენ განვიხილავთ ქალაქის მეურნეობის ცალკე დარგებს მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის განმავლობაში, ჩვენ დავინახავთ ქალაქის მეურნეობის ზრდის უტყუარ სურათს, მეურნეობის, რომელიც ნელი, მაგრამ მაინც თანდათან ძლევს დიდ დაბრკოლებებს. (ასე, მაგალითად, ტრამვაიმ ასწია თავისი შემოსავლიანობა 2, 5 მილიარ. იანვ., 4, 9 მილიარ. აპრილში, ამასთან სათანადოდ გაფართოებულ იქნა წარმოება; წყალსადენმა—214 მილიონიდან 1,2 მილიარდამდე, აბანოებმა—196 მილიონიდან 756 მილიონამდე და სხ. ქალაქის გასავალი განათლების საქმისათვის საანგარიშო 4 თვის განმავლობაში გაიზარდა 243 მილიონიდან 2 მილიარდამდე. ჯანმრთელობის განყოფილებას მიეცა იანვარში 543 მილიონი, აპრილში 1 მილიარდი 474 მილიონი და სხ.

9. გარდა კომუნალურ მეურნეობის საერთო გაუმჯობესებისა, ძველმა საბჭომ შეასრულა მთელი რიგი კაპიტალური სამუშაო, რომელნიც არსებითად აუმჯობესებენ ქალაქის მოსახლეობის საერთო მდგომარეობას. ერთი ასეთი მთავარ სამუშაოთაგანია საბურთალოს ჭაობების ამოშრობა. ჭაობის გამო საბურთალო წარმოადგენდა ბუდეს მალარიისა, რომელიც ისე ძლიერად მძვინვარებდა, რომ მცხოვრებნი ემზადებოდნენ მიეტოვებიათ თავიანთი სახლები და აპირებდნენ სხვა რაიონში გადასახლებას. ქალაქის აღმასკომმა შესძლო მოკლე დროში ამ მიდამოს ამოშრობა და ამით მისი რადიკალურად გაჯანსაღება. ამოშრობილია 300 დესეტინაზე მეტი.

შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ერთბაშად ასწევს ქალაქის კომუნალურ მეურნეობას საჭირო სიმაღლემდე, არის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აშენებულ იქნას ჰიდროელექტრონის სადგური არაგვზე.

ასეთი ცენტრალური ელექტროსადგურები გამოაცოცხლებს კომუნალურ მეურნეობას.

10. ძველი საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალაქის მშრომელ მოსახლეობის ფართე მასსების დაკმაყოფილებას ბინით, სინათლით და წყალით.—ამ ძირითადი მოთხოვნილებებით, მუშებს მიეცა მთელი რიგი საუკეთესო სახლები, ბინის ფასი ყველა მშრომელთათვის—პროფკავშირების წევრებისათვის დაწესებულია მინიმალური, ჯამაგირში შეტანილია ცალკე ჯამი კომუნალურ სამსახურის საფასურად.

წყალის და განათების საფასურის საკითხში საბჭო ატარებს პოლიტიკას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ქალაქის მეურნეობას თავი შეინახოს და ფეხზე დაადგეს, და ეს ხდება მშრომელთა ბიუჯეტის დაუმძიმებლად.

11. მიღწეულმა გამარჯვებებმა საშუალება მისცეს ძველ საბჭოს სრული უფლებით წამოეყენებია შემდეგი დებულება ქალაქის აღმასკომის, მიმდინარე წლის იანვარ-მარტის თვეების ფინანსიურ სამეურნეო ანგარიშისა: „ჩვენ სულ მივდივართ წარმატების უფრო აღორძინებისაკენ, თვიდან თვემდე ვაუმჯობესებთ ქალაქის ცხოვრებას, მოგვყავს ყველაფერი წესრიგში. და ამ გაუმჯობესებას არა აქვს სპორტიული ხასიათი, არამედ როგორც ეს შეეფერება ჯანსაღ სამეურნეო ორგანიზმს, ჯანსაღდება და გამოცოცხლების გზაზეა შემდგარი მთელი ჩვენი მეურნეობა მთლიანად“.

12 რათა არ ჩაიშალოს მთელი ქალაქის მეურნეობის დაწყებული გაუმჯობესება და გაჯანსაღება, თბილისის მშრომელ მოსახლეობამ და პირველ ყოვლისა მის პროლეტარიატმა უნდა აირჩიონ ისეთი ახალი საბჭო, რომელიც გააგრძელებს საქმეს ამ ვე მიმართულებით და იგივე მიღწევებით. ეს შეუძლიათ მხოლოდ კომუნისტებს, ვინაიდან მხოლოდ ისინი ამყარებენ მთელ თავის იმედებს მშრომელთა თვით მოქმედებაზე, მხოლოდ ისინი არავითარ პირობებში, რა რიგ მძიმე არ იყვნენ უკანასკნელნი, არ უღალატებენ მშრომელთა ინტერესებს.

13. გენუის კონფერენცია, სადაც კომუნისტები წარმატებით იბრძოდნენ გაერთიანებული საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ და სადაც მათ არამც თუ არ დასთმეს რევოლიუციის არც ერთი მონპოვარი, არამედ განამტკიცეს თავისი იდეური და მორალური გავლენა მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებს შორის,—გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელობა აქვს შეხედულებათა სიმტკიცეს და მკაფიო მიზანს, რომლისკენ ვისწრაფით. არა მენშევიკები, ესერები, სოც. ფედერალისტები და ეგრედ წოდებული უპარტიონი, რომელნიც აქეთ-იქით დაეხეტებიან მოწყალების ძებნაში მსოფლიოს მბრძანებლებისაგან,—შესძლებენ დასძლიონ დღევანდელი მძიმე მდგომარეობა, არამედ მხოლოდ კომუნისტები, რომელნიც არასოდეს არ ღალატობენ მუშათა კლასის ინტერესებს და რომელთაც სულ მუდამ მხოლოდ ერთი მიზანი ასულდგმულებთ—სოციალიზმი.

14. და რაც უფრო მძიმეა ჩვენი მდგომარეობა, მით უფრო შემჭიდროებულად და საერთო ძალღონით უნდა გამოვიდეთ, მით უფრო დაკვირვებით ავირჩიოთ ჩვენი დეპუტატები. თბილისის საბჭო უნდა იყოს მტკიცე და მაგარი, ის უნდა იყოს გამოჭედილი ერთი ნაკვეთიდან და ასეთი მონოლიტის მასალად შეიძლება იყოს მხოლოდ კომუნისტური პარტია.

15. ყველა მშრომელთა გაერთიანება – ლოზუნგია დღევანდელი დღის. მუშათა ერთიანი ფრონტი მძლავრად იქნება მთელ მსოფლიოში, მიუხედავად 2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალების წინამძღოლების გააფთრებული ბრძოლისა მის წინააღმდეგ. ასეთი ერთიანობის შექმნისაკენ თბილისის მშრომელთა მასებს მოუწოდებს ეხლა კომუნისტური პარტია. არჩევნები თბილისის საბჭოში უნდა შეიქნენ მრისხანე დემონსტრაციად აზრის, ნებისყოფის და მისწრაფებათა იმ ერთიანობისა, რომლითაც სულდგმულებენ ქ თბილისის მშრომელი მასები.

ამ არჩევნებზე ერთიანდებიან მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ყველა მომხრენი, ყველა, ვინც გულწრფელად და პატიოსნად მისწრაფვის სოციალიზმისაკენ, პროლეტარულ რევოლიუციის გაღრმავებისაკენ.

დეე, ერთიანმა მძლავრმა პროლეტარულმა ფრონტმა თავი მოუყაროს თავის რიგებში ყველა მშრომელთ და დეე მის რიგებ გარეშე დარჩნენ მხოლოდ ერთი მუჭა ვაჟბატონები პარიტეტულ კომიტეტიდან, რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა კონტრრევოლიუციონურ წრეებს—გაკოტრებულ გამცემელ მენშევიკებიდან შავრაზმელ ნაციონალ-დემოკრატებამდე.

საქართველოს კ. პ თბ. კ აგიტაცია პროპაგანდის განყოფილება.

ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

მოსკოვი. 15 ივლისი, (რადიო) გამოქვეყნებულია ინგლისის შემდეგი მემორანდუმი ჰააგის შესახებ, რომელიც შეიცავს პასუხს საფრანგეთის 2 ივნისის ნოტისას. მემორანდუმში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ საფრანგეთის 2 ივნისის მემორანდუმს ახასიათებს გაუცნობლობა იმ მთავარი საკითხებისა, რომელნიც დასმული იყო გენუის კონფერენციაზე. ინგლისი ფიქრობს, რომ ჰააგის კონფერენცია იქნება ექსპერტების კონფერენცია და ამიტომ ბრიტანეთის წარმომადგენლები იქნებიან სრულუფლებიანი წარმომადგენლები სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად. ბრიტანეთის მთავრობა გადაჭრით ეწინააღმდეგება საფრანგეთის წინადადებას, რომ რუსეთმა უკანვე წაიღოს თავისი 11 მაისის მემორანდუმი. ინგლისი სავსებით ეთანხმება საფრანგეთს იმაში, რომ ჰააგის საფუძვლად დადებულ უნდა იქნეს კანის დადგენილებანი. რუსეთის დელეგაციამ უყოყმანოთ მიიღო კანის რეზოლიუციები და ამიტომაც იგი სავსებით შეგნებულად აღიარებს მის ორივე მხარისათვის სავალდებულოთ ცნობას. ბრიტანეთი გადაჭრით ემხრობა საფრანგეთის აზრს, რომ კანის რეზოლიუციები (გამოტოვებულია).. კერძო საკუთრების საკითხში საფრანგეთის მთავრობას მიაჩნია, რომ უცხოელებს უფლება აქვთ მოითხოვონ თავისი საკუთრების უკანვე დაბრუნება, მაგრამ რუსეთსაც, კანის რეზოლიუციების თანახმად, უფლება აქვს თვითონ გადასწყვიტოს საკითხი: დაუბრუნოს ეს ქონება უცხოელებს თუ მისცეს მათ კომპენსაციები. ბრიტანეთი მოითხოვს, რომ კომპენსაციები რეალური ღირებულებისანი იყვნენ. მაგრამ თავზე მოხვევის ცდას (გამოტოვებულია).. არასდროს არ დაეთანხმებოდა არც ერთი სუვერენული სახელმწიფო. ბრიტანეთი არ ეთანხმება საფრანგეთს იმაში, რომ კომისიამ, რუსების მონაწილეობის გარეშე, წინასწარ ჩამოაყალიბოს გეგმა რუსეთის აღდგენისა. ამიტომ საფრანგეთის წინადადება, კომისიის მიერ, რუსების გარეშე ამ გეგმის შემუშავების შესახებ, იქნებოდა დამახინჯება იმ მიზნებისა, რომელიც გენუამ დაავალა ჰააგას. მაშინ უფრო პრაქტიკული და თავაზიანიც იქნებოდა ის, რომ რუსები სრულებით არ მოგვეწვია ჰააგაში. აუცილებლად საჭიროა რუსეთთან ერთად მუშაობა, თუ კი სურთ ჰააგის თათბირმა რაიმე პრაქტიკული შედეგი გამოიღოს. ბრიტანეთი არ შესცვლის თავის პრინციპებს. (დასასრული არ არის მიღებული)

საფრანგეთმა ამ მემორანდუმს შემდეგი პასუხი გასცა: საფრანგეთმა სიამოვნებით გაიგო ის, რომ ინგლისს ჰააგის კონფერენცია მიაჩნია ექსპერტების კონფერენციათ. საფრანგეთს არა მიზანშეწონილად მიაჩნია, თუ ანტანტა წარსდგება საბჭოთა დელეგაციის წინაშე გარკვეულ წინასწარ შემუშავებულ გეგმის გარეშე საბჭოთა დელეგაციის წევრებმა უკვე დაამტკიცეს გენუაში რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ მოკავშირეთა შორის მცირეოდენი განხეთქილებითაც. საფრანგეთს კანის რეზოლიუციები სავალდებულოთ მიაჩნია, ხოლო კერძო საკუთრების დაბრუნება კი პირიქით, აუცილებელ უფლებათ. მაგრამ საფრანგეთს არა აქვს განზრახვა თავზე მოახვიოს რუსეთს ის პრინციპები, რომელნიც არღვევენ მის სუვერენიტეტს, მაგრამ მას საჭიროდ მიაჩნია, რომ უცხო სახელმწიფოებმა აუცილებლად დაიტოვონ თავისუფალი მოქმედების უფლება საკუთრების საკითხში, იმ სახელმწიფოს საწინააღმდეგოთ, რომელიც უარს ამბობს მისცეს უცხოელებს გარანტიები. საფრანგეთს არ სურს შეამციროს თავისი პრეტენზიები რუსეთის მიმართ სამხედრო ვალების საკითხში.

ᲔᲡᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

მოსკოვი 15 ივნისი (რადიო). საღამოს სხდომაზე მოსმენილი იყო მოწმე გოროდსკოის ჩვენება, რომელიც ერთ ხანს მუშაობდა სამხედრო კომისიაში, თუმცა თვით არ ითვლებოდა პარტიაში. გოროდსკოის ჩვენება მტკიცდება მოწმე ლელნერის ჩვენებით, რომელიც ეხება სამხედრო მუშაობას „უჩრედილკის“ შემდეგ. ახალია ცნობა რაიონულ კომენდანტების შესახებ, რომელნიც იმყოფებოდენ სამხედრო კომისიის განკარგულებაში.

შემდეგ ართმევენ ჩვენებას მოწმე კაშინს, რომელიც გამოწვეულ იქმნა ბრალდებულთა ერთი ჯგუფის მიერ. მოწმე იძლევა ჩვენებას და უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ბრალდებულთ, რომლებმაც მოწმეთ დაასახელეს კაშინი.

ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ლორდ გრინის აზრი

ნაუენი. 14 ივნისი (რადიო). ბრიტანეთის ნავთობისა და ვაჭრობის სამმართველოს დირექტორმა ლორდ გრინმა, რომელიც დანიშნულია ინგლისის დელეგაციის წევრათ ჰააგაში, გამოსთქვა შემდეგი მოსაზრებანი: რუსეთს მომავალში განაგებს გლეხობის პასიური ნებისყოფა, რომელიც წარმოადგენს ისეთ ყველაზე უფრო კონსერვატიულ მასას, რომელიც როდესმე არსებობდა ისტორიაში. ამ ჟამად რუსეთისათვის თავისუფლად კავშირის დაჭერა საზღვარ-გარეთთან ვაჭრობასთან, აუცილებლობის საკითხს წარმოადგენს. ლორდ გრინი უარყოფს იმ ხმების საფუძვლიანობას, თითქოს შესაძლებელი იყოს საბჭოთა მთავრობის ამ ახლო მომავალში დამხობა. პირიქით, საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი უფრორე განმტკიცდება, თუ რუსეთის დელეგატები ჰააგაში დაიწყებენ არა წმინდა კომუ-

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩვენი დედაქალაქის ეხლანდელ, პირველ საბჭოს გაუდის რწმუნებულების ვადა.

მომავალი კვირის პირველი დღეებიდან დაიწყება ახალი საბჭოს არჩევნები. უკვე არჩეულია ცენტრალური საარჩევნო კომისია, გამომუშავებულია სათანადო ინსტრუქცია არჩევნებისათვის, წარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა.

გადატრიალების მომენტიდან საქართველოში, როგორც მმართველობის დროებითი ფორმა, დამყარდა რევკომების სისტემა, რომლის ნიშანდობლივი თვისებაა დანიშვნითი წესი. ეს მოვლენა სავსებით ბუნებრივი და აუცილებელი იყო გადატრიალების პირველ ხანებში, სანამ ცხოვრება ერთგვარ კალაპოტში არ ჩადგებოდა და არ შეიქნებოდა შესაფერი პირობები ნამდვილი არჩევნების მოსახდენად.

სულ სხვას გაიძახოდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, რევოლიუციის მტრები მათი სიტყვით. კომუნისტებმა ძალით მოახვიეს საქართველოს მშრომელ მასსებს საბჭოთა ძალა-უფლება, რომელიც მიუღებელია მათთვის; კომუნისტები გაურბიან ხალხის ნებისყოფის გამოაშკარავებას, რომელიც, მიმართულია მათ წინააღმდეგ; კომუნისტები არ ახდინენ არჩევნებს, რომელნიც, ამ ცრუ წინასწარმეტყველების აზრით, მათ არგუნებდა გამარჯვებას.

ჩვენთვის იმ თავითვე ცხადი იყო განწყობილება საქართველოს მუშათა კლასის, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლის გაღებით, გმირული ბრძოლით გადიძრო მენშევიკების მძიმე უღელი და თავისი ძალა-უფლება დაამყარა. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მშრომელი მასსა არასოდეს არ მოისურვებდა მენშევიკების უღლის ხელ ახლა დადგმას და სავსებით ჩვენ გვიჭერდა მხარს. მხოლოდ საჭირო იყო ერთგვარი ობიექტიური პირობები, რომ ასეთი მისი განწყობილება ფორმალურად ჩამოყალიბებულიყო.

აი, დადგა დროც, და საქართველოს მშრომელი ხალხის მოწინავე რაზმმა, თბილისის პროლეტარიატმა საჯაროდ გამოხატა თავისი ნებისყოფა ამ ნახევარ წლის წინედ მომხდარ საბჭოთა არჩევნებში.

ამ არჩევნებმა დაადასტურეს ის, რაც მოსალოდნელი იყო: თბილისის პროლეტარიატმა ერთსულოვანი ნდობა გამოუცხადა კომუნისტურ პარტიას, საბჭოში გაიყვანა მხოლოდ მშრომელი ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველები და არ გაატარა არც ერთი მისი ორგული და მოღალატე. ამათ პროლეტარიატმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მენშევიკებს, რომელთაც მისი სახელით ხმამაღლა უყვარდათ ლაპარაკი და მშრომელ მასსების ნდობა თავის პრივილეგიად მიაჩნდათ.

მაგრამ ამ ვაჟბატონების სქელი შუბლი ამის შემდეგაც არ გაწითლებულა. რაკი დაინახეს, რომ მათ არჩევნებში სამარცხვინო მარცხი იგემეს, „ბოიკოტი“ გამოუცხადეს არჩევნებს და ეს უკანასკნელი უკანონოდ გამოაცხადეს.

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა საბრალო და ამასთან კომიკური ხასიათი ჰქონდა ამ „ბოიკოტს“. თითო ოროლა გზა აბნეული თუ აყვა მათ, ხოლო მშრომელ მასსის უდიდესმა უმრავლესობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. თბილისს არასოდეს არ ახსოვს, რომ არჩევნებზე გამოცხადებულიყოს ამრჩეველთა ასეთი დიდი პროცენტი.

ხოლო რაც შეეხება არჩევნების „უკანონობას“, ამაზე მენშევიკებს ერთი „საყვედურის“ თქმა შეეძლოთ. არჩევნების უფლება წაერთვა ყველა იმათ, ვინც სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწეოდა, ე. ი. მედუქნეებს, სპეკულიანტებს და სხვა ასეთ მუქთახორებს და წურბელებს, ყველა მათ, ვისი ხმების წყალობით „იმარჯვებდნენ“ წინანდელ არჩევნებში მენშევიკები. „საყოველთაო საარჩევნო უფლების“ მოტრფიალეთ ეს არ მოეწონებოდათ, ეს მათ უცილებელ დამარცხებას მოასწავებდა, მაგრამ რას იზამთ, მუშათა კლასი იმიტომ კი არ იბრძოდა, რომ შემდეგ მაზე გაბატონების „მშვიდობიანი“ საშუალება მიეცა ექსპლოატატორთა კლასისათვის.

ამნაირად, თბილისის პირველ არჩევნებში მუშათა კლასმა და მისმა, ხელმძღვანელმა, კომუნისტურმა პარტიამ სრული გამარჯვება მოიპოვა და ალაგმა ბურჟუაზიის აგენტები—მენშევიკები და ყველა მათთან მყოფნი.

პროლეტარიატის მიერ არჩეული საბჭო შეუდგა ქალაქის მოვლა-პატრონობას.

მძიმე იყო ის მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვეს მენშევიკებმა ქალაქის სრულიად მოშლილი და დანგრეული მეურნეობის სახით. თავის, სამი წლის განუკითხავი თარეშის დროს მათ არამც თუ რაიმე თვალსაჩინო არ გაუკეთებიათ, რამე შემოქმედებითი. მუშაობა არ გაუწევიათ, არამედ გაანიავეს ისიც კი, რაც წინანდელ დროიდან დარჩა. თითქო იცოდნენ, რომ მალე ბოლო მოეღებოდა მათ პატრონობას, ისინი სრულიად არ ზრუნავდნენ ქალაქის მეურნეობის აღორძინებაზე. ქალაქის ყველა საწარმოო საშუალებანი მათ დროს სავსებით გაცვდა, მთელი წარმოება დაღუპვის, სრული კატასტროფის კარამდე მივიდა, მეორე მხრივ, ისინი ნაკლებ ფიქრობდნენ ქალაქის მოსახლეობის მშრომელ ნაწილის საარსებო ინტერესების დაკმაყოფილებაზე. მუშები ძველებურად ბნელ და ნოტიო სარდაფებში დარჩნენ; მათთვის ქალაქის სხვა და სხვა გვარი სამსახურის შეღავათიან პირობებში სარგებლობაზე აბა ვინ იტკენდა თავს! მუშებ—მოსამსახურეებს მთელი თვეების განმავლობაში ჯამაგირს არ აძლევდნენ

ქალაქის ახალ, მუშურ საბჭოს მოუხდა მაქსიმალური ენერგიის დახარჯვა და უდიდეს შემოქმედებითი ნაჭის გამოჩენა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად ერთი მხრივ, და მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად,—მეორე მხრივ. ძალიან მცირე დროა, ნახევარი წელიწადი, რომელმაც განვლო საბჭოს არჩევის დროიდან,—ასეთი რთული და დიდი აქმის მოსაგვარებლად. მიუხედავად ამისა, საბჭომ ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი რამ გააკეთა, რამდენათაც ეს შესაძლებელია დღევანდელ ობიექტიურ პირობებში. მან შეადგინა მტკიცე ბიუჯეტი, რომელიც მიმართულია ქალაქის შემოსავალ-გასავალ შორის წონასწორობის აღდგენისაკენ. მან მოაწესრიგა საგადასახადო საქმე, რომლის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ გადასახადები აწვებათ შეძლებულ წრეებს, ხოლო ამ მხრივ უზრუნველყოფილია მშრომელთა ინტერესები. საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალაქის მეურნეობის აყვავებას, რეალურ ღირებულებათა შექმნას. შეაკეთა საწარმოო იარაღები, ზოგან ახალი მოწყობილებაც კი გამართა. მან საგრძნობლათ მოაგვარა მოქალაქეთა ძირითადი მოთხოვნილებებით — ბინით, წყალით და სინათლით დაკმაყოფილების საქმე. საბჭო ზრუნავს ქალაქის გამწვანებისა და წესრიგში მოყვანაზე.

საბჭომ კერძოდ გააუმჯობესა მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა. მათ მისცა საუკეთესო ბინები, რისთვისაც მინიმალურ საფასურს ახდევინებს. საბჭო შეღავათიან პირობებში აკმაყოფილებს მათ სხვა არსებითი მოთხოვნილებებს.

ძნელია ერთ საგაზეთო წერილში ჩამოთვლა ყველა იმ უდიდესი მნიშვნელობის ნამუშევარის, რომელიც საბჭომ შეასრულა ნახევარი წლის განმავლობაში.

საერთოდ კი ყველასათვის ცხადია რომ ეს საღმშენებლო მუშაობა გრანდიოზულია და ნაყოფიერი. ქალაქის მთელი მეურნეობა და ცხოვრება მთლიანად სრული გაჯანსაღების და გამოცოცხლების გზას ადგია.

ასეთი მუშაობის გაწევა იმ უმძიმეს პირობებში, რომელსაც ანვიკდით, თქვა არ უნდა, შეეძლოთ მხოლოდ მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულ პირებს. სწორედ ასეთებისაგან შესდგება ჩვენი საბჭო. იქ თავმოყრილი არიან ჭეშმარიტი რევოლიუციონერები — კომუნისტები, რომელთაც სწამთ მხოლოდ ერთი საქმე, რომელნიც ემსახურებიან მხოლოდ ერთ მიზანს—მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათი კეთილდღეობის შექმნას, მათი სრულ გამარჯვებას.

ეს გარემოება კარგად ჰქონდა გათვალწინებული ჩვენი დედა-ქალაქის პროლეტარიატს, როცა კომუნისტებს ჩააბარა თავის ინტერესებისათვის ბრძოლა, თავის საქმეების მოწყობა. არჩეულ პირების მიერ ნახევარ წლის განმავლობაში წარმოებულმა თავდადებულმა ნაყოფიერმა მუშაობამ პროლეტარიატი უფრო დაარწმუნა, რომ მხოლოდ კომუნისტები შესძლებენ მუშათა კლასის გამარჯვებამდე მიყვანას, როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო ფრონტზე. და ამიტომ ის თბილისის საბჭოს მომავალ არჩევნებში ისეთივე ნდობას გამოუცხადებს მათ, როგორც პირველ არჩევნებში.

კომუნისტებისაგან შემდგარი საბჭო, ხალხის არც ერთი მოღალატე მასში—ასეთი ლოზუნგით გამოვა პროლეტარიატი მოახლოვებულ არჩევნებზე და კიდევაც გაატარებს მას ცხოვრებაში.

დიდი მომგებიანი ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

სცადეთ თქვენი ბედი, დაეხმარეთ დამშეულ ძმებს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწყობს დიდ მომგებიან ლატარიას, წესები ლატარიისა და ბილეთების შეძენის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

4—2

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ნისტური მიზნების, არამედ რუსეთის ხალხის ნამდვილი ინტერესების დაცვას.

მთელი ყურადღება წარმოებას

ბერლინი. 14 ივნისი (რადიო). რუსეთ აზიის საზოგადოების წარმომადგენელი ლესლი ბურხარდტი აცხადებს: რუსეთის აღდგენის ყველა იმედები დამყარებულია რუსეთის წარმოების ნაყოფიერების გადიდების შესაძლებლობაზე. მაგრამ ბურხარდტი მაინც აღნიშნავს, რომ მანამ, სანამ არ იქნება მიცემული გარანტიები რუსეთში წარმოების იარაღებისა და პროდუქტების ქონებრივი ხელუხლებლობისა, მანამდის შეუძლებელია რუსეთთან ვაჭრობის აღდგენა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთში უცხოელთა კაპიტალის უზრუნველყოფა. ბურხარდტის აზრით ჰააგის თათბირს არავითარი რეალური შედეგი არ მოყვება იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა წარმომადგენლობა ჰააგაში არ იხელმძღვანელებს საერთო ეკონომიური კანონებით.

საფრანგეთი ჰააგაში

ნაუენი, 14 ივნისი (რადიო). ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს ჰააგის თათბირში. საფრანგეთის დელეგაციის მეთაურად დანიშნულია შარლ ბენუა. დელეგაციის შემადგენლობაში შედის 5 ტეხნიკოსი სპეციალისტი.

ჰააგის თათბირის გახსნა

ბერლინი, 14 ივნისი (რადიო). 15 ივნისს ჰააგაში უნდა მოხდეს უცხოელ დელეგატების პირველი პლენარული სხდომა. საფრანგეთის მხრივ სხდომას დაესწრება ბენუა. ექსპერტები უნდა შეიკრიბონ ჰააგაში 25 ივნისისათვის.

ინგლისის პესიმიზმი

ბორდო. 14 ივნისი (რადიო). ინგლისის პრესას საერთოდ მცირე იმედები აქვს ჰააგის თათბირისა შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ერთგვარი ნაყოფიერება ექნება ტეხნიკურ კომისიის მუშაობის შედეგებს განსაკუთრებით პესიმისტურად არის განწყობილი გაზეთი „მორნინგ პოსტი", რომელიც წინასწარმეტყველობს ჰააგის სავსებით მარცხს. მიუხედავათ ამისა ზოგიერთი გაზეთები იმედოვნებენ, რომ ჰააგის თათბირი, ყოველ შემთხვევაში, გაარკვევს მაინც, შექმნილ პოლიტიკურ მძიმე ატმოსფერას.

თათბირის გადადების შესაძლებლობა

რომი. 14 ივნისი (რადიო). აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია მოკლე ვადით გადადებულ იქნეს ჰააგის თათბირის მუშაობის გახსნა. ეს გადადება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ რუსეთის დელეგატებს ტეხნიკურად არ შეუძლიათ ჩავიდნენ ჰააგაში 26 ივნისზე უფრო ადრე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

სესხი გერმანიისათვის.

ნაუენი. 14 ივნისი. ბერლინში დაბრუნდა სტატს სეკრეტარი ბერმანი. ბერმანმა უნდა გაუკეთოს ვრცელი მოხსენება მთავრობას პარიზის კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც იხილავდა გერმანიისათვის სესხის მიცემის საკითხს. გაზეთები აღნიშნავენ რომ გერმანიის მთავრობის მომავალი პოლიტიკა იქნება დამყარებული ბერმანის მოხსენებაზე და იმ თეზისებზე, რომელიც იქმნა გამომუშავებული ამერიკელ ბანკირებთან შეთანხმებით.

ბერლინი, 14 ივნისი. ბერლინის კარგად ცნობილ ფინანსიურ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გერმანია განახორციელებს ყველა ფინანსიურ რეფორმებს, რომელიც წარუდგინა მას საკონტრიბუციო კომისიამ. გერმანიის პრესა გამოსთქვამს გაფრთხილებას, რომ გერმანიის მთავრობას არ შეეძლება, შეაჩეროს ქაღალდის ფულის გამოშვება, ვინაიდან გერმანიისათვის სესხის მიცემა არ მოხერხდა.

ნაუენი. 14 ივნისი. გერმანიის მთავრობა ემზადება საკონტრიბუციო გადასახადის მორიგ თანხის შეტანისათვის. უახლოესი შეტანა 50 მილიონ მარკა ოქროთი მოხდება 15 ივნისს.

ინგლისი.

მუშათა შორის.

კრაუდენი. 14 ივნისი. ტრედ-უნიონთა შორის მიღწეულია შეთანხმება იმ საკითხის გარშემო, რომელიც ეხება მოსამსახურეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მუშაობის განახლება გადაწყდა უნიონის 75,000 წევრის ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 93.000-ისა. პორსმუტიაში მუშაობა უკვე განახლდა.

ინგლის იტალიის დამოკიდებულება

რომი. 14 ივნისი. „ტანის" ცნობებით, იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი ივნისის დამლევს მიემგზავრება ლონდონში. გამგზავრების მიზანია—ბრიტანეთის მთავრობასთან მოლაპარაკება ინგლის-იტალიის კავშირის შესახებ.

ესერების პროცესისათვის არ ეყო გამბედაობა.

ნაუენი, 14 ივნისი. ბელგიის გაზეთის „პეპლის" ცნობით, რადეკმა ტრიბუნალში განაცხადა, რომ ვანდერველდეს არ ეყო გამბედაობა გამოცხადებულიყო მოსკოვში, როგორც ბრალდებული თუმც ვანდერველდე მოვიდა როგორც დამცველი, მაგრამ ტრიბუნალის განაჩენი იქნება ამავე ვანდერველდეზე გამოტანილი განაჩენი.

ვანდერველდე სჩივის.

ნაუენი. 14 ივნისი ვანდერველდე სჩივის იმ „მიღებაზე", რომელიც იგემეს მან და მისმა უცხოეთის ამხანაგებმა, როგორც დამცველებმა. ვანდერველდე აღნიშნავს, რომ საპოლიციო ხასიათის ზომები, რომელიც იქმნა მიღებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ უცხოეთის დამცველების ძალმომრეობისაგან დასაცავად, იქნებოდა ზედმეტი, იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტური პრესა და ოფიციალური ორგანო „იზვესტია" არ მოგვენათლევდენ ჩვენ ბრალდებულებათ და რეაქციის მომხრეებათ. დასკვნაში ვანდერველდე აღნიშნავს: გამოლაშქრება ჩვენ წინააღმდეგ არ არის სამართლიანი, ვინაიდან ჩვენ გამოვცხადდით მოსკოვში ჩვენი ვალის მოსახდელად პროლეტარიატის წინაშე, და ამისათვის, რომ განვახორციელოთ ყოველი ბრალდებულის დაცვის უფლება. ჩვენ ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას, ბოლო მოუღოს ჩვენ წინააღმდეგ წარმოებულ სამტრო კამპანიას.

ამერიკის ვალების გადახდა.

ბერლინი, 14 ივნისი. რადიო. საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა, გაგზავნოს ვაშინგტონში სპეციალური კომისია სამხედრო ვალების გადახდის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად.

ამერიკა ბრალს სდებს საფრანგეთს.

ნაუენი, 14 ივნისი. რადიო. „ნიუ-იორკ ტრიბუნ"-ის ცნობებით, მთელი ამერიკის პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს, საკონტრიბუციო პრობლემაში საფრანგეთის პოზიციის გამო. ფაქტიურად მხოლოდ ერთს საფრანგეთს შეეძლო წარმოედგინა სხვა და სხვა დაბრკოლებები გერმანიის ვალების შემცირების შესახებ, რითაც ჩაიშალა შეთანხმება გერმანიისათვის სესხის მიცემის საქმეში.

კაპპის სიკვდილი.

ნაუენი, 14 ივნისი. რადიო. ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა გერმანიის გადატრიალების გმირი ვოლფგანგ კაპპი. გერმანიის პრესა კაპპს უძღვნის ვრცელ ნეკროლოგებს და ღირსეულად აფასებს განსვენებულის პოლიტიკურ თვისებებს, მიუხედავად ყველა მის უარყოფითი თვისებებისა.

ნავთი.

ბერლინი, 14 ივნისი. რადიო. „როიალ დიტჩ კომპანი"-ამ მიჰყიდა თავისი აქციების ნახევარი ბრიტანეთის ნავთის სინდიკატს 575 მილ. გირვანქა სტერლინგათ.

საფრანგეთის ბირჟაზე.

პარიზი. 14 ივნისი. რადიო. „ტანი" აღნიშნავს, რომ პარიზის ბირჟაზე და კულისებში სულიერი განწყობილება დაცემულია. ეს აიხსნება უმთავრესად „როიალ დიტჩ კომპანის" აქციების სასტიკი და მოულოდნელი დაცემით. სხვა ღირებულებანი საკმაოთ განმტკიცებულია. ინგლისის და ამერიკის ვალიუტა თანდათან იწევს ზევით.

იაპონიის მთავრობის კრიზისი.

პარიზი, 14 ივნისი. რადიო. იაპონიის მთავრობის კრიზისი, როგორც გავს, მალე უმტკივნეულად გაივლის. ადმირალ კატოს მიერ ახლად შედგენილ კაბინეტის შემადგენლობა მოწონებულია. მთავრობა კოალიციონურია.

ვერხარნის სახლი.

ბორდო, 14 ივნისი. რადიო. ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა, შეისყიდოს ის სახლი, რომელშიაც სცხოვრობდა ვერხარნი. პოეტის სახლში მოწყობილ იქნება მუზეუმი.

ვეზუვი.

რომი, 14 ივნისი. რადიო. ნეაპოლიიდან მოსულ ცნობების თანახმად, ვეზუვის მოქმედება ძლიერდება. კრატერიდან ამოდის სქელი შავი კვამლი.

გრიგალი ამერიკაში.

რომი, 14 ივნისი. რადიო. ნიუ-იორკზე გაიარა საშინელმა გრიგალმა, რომელმაც გამოიწვია ბევრი დანგრევა. ადამიანის მსხვერპლი ათობით ითვლება.

პოლონეთის კაბინეტის კრიზისის შესახებ.

ხარკოვი, 15 ივნისი. რადიო. ვარშავიდან 13 ივნისის თარიღით იტყობინებიან: პილსუდსკიმ პარტიების წარმომადგენლებთან თათბირის შემდეგ განუცხადა „კონსტიტუციონალურ შრომის კლუბის" წარმომადგენლებს, რომ მან ამ თათბირიდან გამოიტანა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სეიმის წევრებს შორის არსებობდეს ძლიერ ქაოტიური შეხედულება არსებულ მდგომარეობაზე.

რადგანაც მთავრობის კრიზისი გრძელდება, დეპეშით იქმნენ გამოწვეულნი ვარშავაში პოლონეთის ელჩები პარიზში, ლონდონში და ბრიუსელში.

ქრონიკა

◆ **საადგილ-მამულო კომისიის სესია**. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული საადგილ მამულო კომისიის სესია მიემგზავრება 24 ივნისს ა. წ. ქ. ქუთაისში, სადაც იგი გაარჩევს 26—30 ივნისს სააპელაციო საჩივრებს ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრების განსაკუთრებული კომისიების დადგენილებების შესახებ.

◆ **საბჭოთა მუშაკების კავშირის სხდომა**. შაბათს 17 ივნისს, საღამოს 6 საათზე ს. პ. კ. ს. მცირე დარბაზში დანიშნულია საბჭოთა მუშაკების კავშირის ფრაქციის სხდომა. გასარჩევია მეტად სერიოზული საკითხები, რის გამოც დასწრება ყველა ამხანაგებისა პარტიულ დისციპლინის ძალით სავალდებულოა.

ნავთსადგურებში

◆ **გუდაუთის** 5 ივნისს რეიდზე იდგა: 3 მოტორიანი იალქნიანი საბჭოთა გემი და 1 ოსმალეთის და ერთიც საფრანგეთის გემი; 6 ივნისს—4 მოტორიან-იალქნიანი საბჭოთა გემი და 2 ოსმალეთის და საფრანგეთის გემი.

ხელოვნება.

◆ **სახალხო სახლი**. დღეს პარასკევს 16 ივნისს სახალხო სახლში, არსენა ჯორჯიაშვილის მშობლების სასარგებლოთ, წარმოდგენილი იქნება **არსენა ჯორჯიაშვილი** (გენერალ გრიაზნოვის მკვლელი) დრამ. 4 მოქ. და 5 სურ. ვ. გიგოშვილისა. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები, იმედია ამხანაგი მუშები დაესწრობიან ამ წარმოდგენას ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი სად. 9 საათზე. გამგე ვ. ჯორჯიაშვილი.

◆ **სულხანიშვილის ნაწარმოებთა საღამო**. სამშაბათს, 20 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება გარდაცვალებულ კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ნაწარმოებთა ფრიად საგულისხმიერო საღამო. საღამო შესდგება ორ განყოფილებისაგან: პირველ განყოფილებაში ქალ-ვაჟთა გუნდი ცნობილ ლოტბარის ივ. პაპიაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. სიტყვებს წარმოსთქვამენ სულხანიშვილზე კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, ვ. კოტეტიშვილი და დ. პავლიაშვილი. ლექსებს გალაკტიონ ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი. მეორე განყოფილებაში შესრულებულ იქნება გუნდის მიერ სამშობლო ხევსურისა სოლო მთიულ კილოზე—მომღერალი თანიაშვილი, „გუთნური"—სოლო, შეასრულებს ოპერის მომღერალი ივ. სარაჯიშვილი, მესტვირული—სოლო—ოპერის მომღერალი ინაშვილი, ტურფავ მოდი—ტრიო, მო ფანდური—სოლო ოპერის მომღერალი ინაშვილი, „დაიაგვიანეს", არია მწყემსისა ოპერა „პატარა კახიდან"—ივ. სარაჯიშვილი. დიდება ივერიისა—გუნდი და 8 ლოცვა—გუნდი. ეს ორი უკანასკნელი ნაწარმოები დაჯილდოვებულია საგანგებო ჟიურის მიერ პრემიებით. მთელი შემოსავალი გარდაცვალებულის ქვრივ ობლების სასარგებლოდ გადაიდება.

◆ **გოეთეს საღამო**. შაბათს ივნისის 24-ს, ხელოვანთა სასახლეში, კონსტანტინე გამსახურდია გამართავს ინტიმურ გოეთეს საღამოს, **სიტყვებს გოეთეზე** წარმოსთქვამენ ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია. **გოეთის ნაწერებს** ქართულად წაიკითხავენ დენნა შენგელაია, ლეო—ქიაჩელი, კ. გამსახურდია, ს. ფაშალიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი. გერმანულ ნიმუშებს გერმანულად კ. გამსახურდია. გოეთეს სურათი—ო. შარლემანისა.

ქუთაისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭო

1) მენშევიკების გამოსვლების შესახებ.

მოისმინა რა ამხ. ბახტაძის მოხსენება საქართველოში უკანასკნელად მომხდარ კონტრ-რევოლიუციონურ „გამოსვლების" შესახებ, ქუთაისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭო აღნიშნავს, რომ ეს „გამოსვლები", მიმართული არსებულ პროლეტარულ ხელის უფლების წინააღმდეგ და მოწყობილი კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების გაერთიანებულ ფრონტის მიერ მენშევიკების მეთაურობით, წარმოადგენს არა მარტო ღალატს სოციალიზმის, რევოლიუციის და მუშათა კლასის წინაშე, არამედ აგრეთვე **საშინელ პროვოკაციას, ქართველი** ერის წინააღმდეგ მიმართულს.

ქართველი მშრომელი ხალხი, საკმაოდ შეგნებული ყოველივე ამის მისახვედრად—სათანადოთ შეხვდა კონტრ-რევოლიუციის გამოსვლას და შეგნებულადვე შეხვდება ასეთ გამოსვლებს მომავალშიც; ქუთაისის მუშათა და წითელ არმიელთა საბ მხოლოდ ზიზღით მოიხსენიებს მშ მელი ხალხის მოღალატეთა სამ ცხვინო გამოსვლებს;

აგრეთვე იგი დაჟინებით თხოვს ქართველოს უმაღლეს მთავრობას, თა შესაფერი ზომები იქნეს მიღებუ მათ წინააღმდეგ, რომლებსაც თა მიზნათ დაუსახავს ქართველი ხალხ სისხლის ღვრა. ქუთაისის საბჭო ხადებს, რომ მოფერებითი პოლიტ კა მათ მიმართ არ კმარა.

დეე—საქართველოს კონტრ-რევო ლიუციონერებმაც დაინახონ და იგ ძნონ თავის საკუთარ კისერზე, რას ნიშნავს პროლეტარული დიქ ტურის რკინის ხელები.

ზიზღი და რისხვა გაერთიანებუ კონტრ-რევოლიუციონურ ფრონტს მენშევიკებისა, ნაციონალ-დემოკ ტებისა, მემარჯვენე—ფედერალის ბისა, ესერებისა, მღვდელ მთავრებ და მათ ამყოლთა!!

— გაუმარჯოს გაერთიანებუ ფრონტს მთელი მსოფლიოს მშრო ლი ხალხისა!!

— გაუმარჯოს საქართველოს ს ჭოთა რესპუბლიკას!!

2) ესერების პროცესის შე ხებ.

დღეს პროლეტარული რუსეთი ა მართლებს თავის მოღალატეთ, ვის მოსისხლე მტრებს, „სოციალის რევოლიუციონერებს".

დღეს „სოციალისტ-რევოლიუცი ნერთა" პარტია წამდგარია სოცი ლისტურ ტრიბუნალის წინაშე თა სი „საგმირო საქმეთა" გამოსააშ რავებლად.

დღეს მთელი მსოფლიოს კონტრ-რე ვოლიუციის ერთიანი ფრონტით მოდის ამ პარტიის დამცველათ. წყებული პუანკარეთი და გათავებუ ლი როზენფელდით ევროპაში, რუსეთში დაწყებული მახნოვე ბანდიტით და გათავებული პატრია ტიხონით.

პროლეტარული, პატიოსანი ნაწ ლი კაცობრიობისა ასამართლ ურიცკის და ვოლოდარსკის მკვლ ლებს, ლენინის დამჭრელთ.

კონტრ-რევოლიუციონური, გათ სირებული ნაწილი კაცობრიობისა თავგამოდებით იცავს მათ.

მთელი მშრომელი კაცობრიო მოითხოვს, რომ სამართლიანი მაშასადამე, სასტიკი სასჯელი ხვდ წილად მათ, ვისმა ამხანაგებმაც როპაში მოკლეს კარლ-ლიბკნეხ და როზა ლიუქსემბურგი და რომლ ბმაც რუსეთში ხელი ასწიეს ლენინ მოსაკლავად; ქუთაისის მუშათა წითელ არმიელთა საბჭო უერთ თავის შორეულ ხმას მსოფლიოს პრ ლეტარიატის ხმას და მასთან ერთა მოითხოვს, რათა რევოლიუციის მ ღალატეებმა და მშრომელი ხალხ სისხლის დამღვრელებმა სასტიკი სუხი აგონ პროლეტარულ ტრიბუნ ლის წინაშე; მათმა დამცველებმა დაინახონ ამაში თავისი მომავა ბედი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია

სხდომა მეოთხე

სასახლე 1922 წ. აპრილის 15.

(დასასრული*)

მოხსენება სიმშილობის შესახებ

გეგეჭკორი. რა მდგომარეობაშია სიმშილობა და რა ზომებია მიღებული?

მახარაძე. ჩვენში ჯერ ჯერობით პრაქტიკული ნაბიჯი არ არის გადადგმული და მხოლოდ ეხლა სდგება ცალკე კომისია, რომელიც განსაკუთრებით ამ საქმეს მოაგვარებს.

ცერცვაძე. გვითხარით, რა ზომებია კონკრეტიულად დასახული საეკლესიო ნივთების შესაგროვებლად?

მახარაძე. აი ამისთვის ცალკე კომისია იქნება შედგენილი, რომელსაც დაევალება ამ საქმის მოგვარება.

საბაშვილი. გადასახადების შესახებ, რომ ბრძანეთ დამშეულების სასარგებლოდ, დაახლოებით რამდენის აკრეფა შეიძლება?

მახარაძე. დაახლოებით ვერ გეტყვით, იმისთვის, რომ ჩვენ სტატისტიკა არა გვაქვს. საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკის დროს გატან-შემოტანის და სხვა და სხვა კომერციულ ოპერაციების სტატისტიკა რომ გვქონოდა, მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, ეხლა ერთი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს რას მივიღებთ. ეს მხოლოდ ეხლა შედის ცხოვრებაში, ეხლა ხორციელდება. ერთი თვის შემდეგ დაახლოებით შეგვეძლება თქმა იმისა, თუ რამდენი შემოსავალი გვექნება.

საბაშვილი. თქვენ ალბად გაგეგონებათ, რომ „ცეკავშირს" საზღვარ-გარეთ ბრაზილიაში და შვეიცარიაში განყოფილება გაუხსნია საქართველოსათვის დასახმარებლად. იცით თუ არა ამის შესახებ რამე?

მახარაძე. ამბობენ, სიტყვით ვიცით, რომ არის ასეთი ორგანიზაცია, მაგრამ საქმით არაფერი ვიცით, გარდა იმისა ბრაუნტალის ორნახევარ ინტერნაციონალის წარმომადგენელს მოუტანია რამდენიმე ფუთი წამალი მედიკამენტი, დანამდვილებით კი არაფერი ვიცით. შეიძლება კი, რომ არის რამ. ხშირად ბოროტმოქმედება ხდება არა თუ საზღვარ გარედ, ჩვენშიაც კი არის ასეთი ორგანიზაციები, შეიძლება ცალკე პირებიც, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ჩვენი გაცხადება იყო გვგონია, რომ აქაც ითბობენ ხელს. არიან ასეთები. შესაძლებელია, რომ ძალიან პატიოსანი პირები არიან, მაგრამ მათაც უნდათ მოითბონ ხელი, ეს ვიცით, მაგრამ კონკრეტიულად არ ვიცით.

ლაფანაშვილი რა ფორმით შეგვიძლიან დავადოთ გადასახადი ვაჭრებს, რაში გამოიხატება ეს გადასახადი.

მახარაძე საერთო გადასახადი უკვე დადებულია ვაჭრებზე.

ლაფანაშვილი. ჩვენ მაზრაში არის საყდარი, სადაც აწერილი იყო ძველი დროის ფულზე 30 მილიონის ქონება ოქრო, ბრილიანტი და სხვ. შეგვიძლია თუ არა...

მახარაძე. ამისთვის შესდგება კომისია და ის თითონ მოაწყობს ამ საქმეს.

ცერცვაძე. სჩანს თუ არა, რომელიმე დოკუმენტებიდან რამდენი არის წაღებული ამ ეკლესიებიდან მენშევიკების მიერ, მათ ბევრი წაიღეს. ადრე დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა, რომ რადგანაც ეკლესიებში ძვირფასეულობა იღუპება ყველა ეს ქონება ბანკში შეეკრიბნათ და შეკრიბეს კიდეც. მე მგონია, რომ ამის დოკუმენტები უნდა იყოს.

მახარაძე. ზოგიერთი ცნობები ამის შესახებ იყო გამოქვეყნებული ჯერ კიდევ შარშან და უფრო დაწვრილებით ეხლა იქნება გამორკვეული.

ხტურუა. პროდნალოგის აკრება, რომელიც შარშან ზაფხულში იყო განზრახული, არ გამართლდა მოუსავლობის გამო. ცეკ-ისაგან ნებადართული იყო გადაგვესინჯა ეს გაწერა და ის გლეხი, რომელიც ყიდულობდა სრულიად გაგვენთავისუფლებია გადასახადისაგან. საშუალო ქონების მქონესათვის დაგვეკლო, მდიდარი კი ისევ ისე დაგვეტოვებინა. გვქონდა გადაწყვეტილი ეს გადასახადი სწრაფად შეგვეკრიფა, მაგრამ მეტად დაგვაგვიანდა და თუ ასე გაგრძელდა ხელმეორედ დაგვჭირდება გადასინჯვა. ამას გარდა ჩვენ გვითხრეს, რომ ამ გადასახადიდან 20 პროცენტი გადავა ადგილობრივ დამშეულთა ფონდში. ეს ასეა თუ არა? გარდა ამისა არის აზრი, ვინაიდან შემოკლების შემდეგ ზოგი თემი იძლევა 50 ფუთს, ზოგი ას ფუთზე მეტს არ იძლევა, ზოგი კი 15 ფ. იძლევა, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება და თუ ენერგიულად არ შეუდექით და რის აღებაც შეიძლება არ ავიღეთ და ადგილობრივ დამშეულთა ფონდში კიდევ პროცენტები გადავდევით არ ივარგებს. ამით გაავადვილებთ დახმარებას.

მახარაძე. მე შემიძლია თქმა, რომ სადაც იყო განცხადება ან ცნობა სიმშილის შესახებ, სადაც ადგილი ჰქონდა სიმშილობას, ის რაიონები სასურსათო კომისარიატთან შეთანხმებით განთავისუფლებულნი იყვნენ ამ გადასახადებისაგან და რაც შეეხება გადაცემას პროდნალოგისას, როგორც სათესლე მასალის, იყო გადაწყვეტილი, რომ 20 პროც. ხორბლიდან და სიმინდიდან გადაცემული ყოფილიყო დამთესავ ორგანოებში. ეს გადაწყვეტილება არის, რომელიც შედის ძალაში.

გეგეჭკორი. მთავარი კომიტეტი უყურებს სამღვდელოების ორგანიზაციას, რომელიც ეხლა შესდგა და გამოცხადებული არის გაზეთებში? სცნობთ თუ არა ამას დასაშვებად?

მახარაძე ჩვენ შეგვიძლიან კიდევ ვინმე შემოვიყვანოთ. არის სხვა შეკითხვები?

საბაშვილი. მე მაქვს დამატება. ვინაიდან გაქცეულმა მენშევიკებმა საქართველოს მშრომელი ხალხის ძვირფასი განძეულობა გაიტაცეს საზღვარ-გარეთ, მე მგონია აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა მიმართოს მათ, რომ ეს განძეულობა დაბრუნებულ იყოს დამშეულ ხალხის სასარგებლოდ. (ხმები: ვის, რას ამბობ, კაცო!).

მახარაძე. ვის უნდა მივმართოთ? პუანკარეს თუ გენუის კონფერენციას? აბა ყაჩაღებს მიმართეთ!

ცერცვაძე. წითელ ჯვარს მივმართოთ, ჩამოართვან ეს ქონება, ან იქვე რეალიზაცია უყონ და გამოგვზავნონ პური ან და თვითონ ქონება დაგვიბრუნონ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მამულია. მე ამხ. სტურუას შეკითხვა ასე გავიგე, რომ სასურსათო გადასახადი შეიძლება მოხმარდეს ადგილობრივ დამშეულთა საჭიროებას თუ არა, და თქვენ ამაზე პასუხი არ გაგიციათ.

მახარაძე. მე მგონია, რომ სასურსათო გადასახადს აქვს სულ სხვაგვარი დანიშნულება და ყოვლად შეუძლებელია, რომ ის ასე მოხმარებულ იქნეს თუ ამისთვის არ იქნება განსაკუთრებული დადგენილება, მთავრობის ამ მხრივ გადაწყვეტილება—ეს ყოვლად შეუძლებელი იქნება.

სტურუა. მის აკრეფას პრაქტიკულად დააჩქარებს ის, რომ ეს ადგილობრივ დამშეულებს მოხმარდება და აკრეფასაც ხელს შეუწყობს. ხალხს ემჩნევა ის, რომ უფრო ადვილად იკრიფება ის გადასახადი თუ ამ ლოზუნგით შეუდგებით აკრეფას. გარდა ამისა დიდ რაოდენობას არ შეადგენს ეს ნარკომპროდისათვის და პრაქტიკულად და ზნეობრივადაც მეტი გავლენა ექნება უფრო ავტორიტეტულიც ამ სასურსათო გადასახადის ამკრეფავი თუ ამ გადასახადს დამშეულებისათვის მოახმარს.

მახარაძე. მე ჩემი აზრი გამოვთქვი და შეიძლება ამხ. ერქომაიშვილმა უფრო დასაბუთებული აზრი მოგვახსენოთ.

ერქომაიშვილი. (ადგილიდან) ის დადგენილება, რომ 20 პროც. პროდნალოგისა გადაეცეს სათესლე მასალად უკვე აღსრულებულია, და კიდეც გადაეცა იმ რაიონებს, სადაც უფრო საჭირო იყო სათესლე. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ჩვენ ერთი მილიონი ფუთის მაგივრად ავკრიფეთ მხოლოდ 80 ათასი ფუთი. აქედან 20 პროცენტი გადავეცით და რომ კიდევ გამოვრიცხოთ და ვისმეს რამე გადავცეთ მაშინ მუშა მოსამსახურენი დაგვრჩება მშიერი და ამ მხრივ უსახსრო დავრჩებით. ჩვენ შეგვიძლია, რასაკვირველია, ამის მაგივრად ის გამოწერილი სიმინდი, რომელიც ჩვენ მოგვდის გადავცეთ მუშა-მოსამსახურეებს. ასე მოსახერხებელი იქნება, თუ არა—ფაქტიურად მუშა-მოსამსახურენი დაგვრჩებიან უსახსროთ.

ამხ. ადგილიდან (მიმართავს ამხ. ერქომაიშვილს) არიან ისეთი დამშეულები, რომელთაც პური აქვთ და არ შეუძლიანთ გადიხადონ ბეგარა. შესაძლებელია თუ არა ჩვენ ასეთი დამშეული გავანთავისუფლოთ ხორბლის გზით ბეგრისაგან?

ერქომაიშვილი. რასაკვირველია, შესაძლებელია.

თავმჯდომარე. მეტი შესწორება ხომ არავის აქვს? არ არის.

მახარაძე. კითხულობს ამხანაგ საბაშვილის წერილობით წინადადებას, რომ „გაეგზავნოს მიმართვა, რათა გაქცეულ მენშევიკების ყოფილ მთავრობამ მათ მიერ გატაცებული განძეულობა დააბრუნოს საქართველოში დამშეულთათვის მოსახმარებლად, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ისინი ამას არ იზამენ, მაგრამ ჩვენთვის კი ეს ხელსაყრელია მათ საწინააღმდეგოდ".

მახარაძე. ვის გაეგზავნოს ეს მიმართვა?

ცერცვაძე. გაეგზავნოს იმ ქვეყნის მთავრობებს, სადაც ისინი ეხლა იმყოფებიან, თუ შვეიცარიაში არიან—შვეიცარიას, თუ გერმანიაში—გერმანიის მთავრობას.

მახარაძე ამხანაგებო, ამის შესახებ ჩვენ უკვე რამოდენიმეჯერ გვქონდა გაცხადებული, რომ მენშევიკების ყოფილმა მთავრობამ ჩაიდინა ეს ბოროტ მოქმედება.

ცერცვაძე არა, საჭიროა, რომ იურიდიულად მოვთხოვოთ იმ მთავრობებს, სადაც ეხლა მენშევიკები არიან, რომ აიძულონ ისინი ეს განძეულობა დააბრუნონ.

თ. კალანდაძე. ამხანაგებო, ამას პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძლება დაურჩეს, მაგრამ პრაქტიკული მნიშვნელობა ამას არავითარი არ ექნება მე მგონია ამ წინადადების ავტორებმაც იციან ეს, მაგრამ თუ მაინცა და მაინც ავტორებსა და კრებას სურს რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ვისარგებლოთ მათი საქციელით და ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიყენოს ეს სადემონსტრაციო ევროპის პროლეტარიატის საყურა ღებოდ, მაშინ შეიძლება სხვა ნაბიჯ გადავდგათ. მაგალითად დავახას თოთ მდგომარეობა საქართველოშ აქ მოსალოდნელი საშინელი სიმში და ის მუშაობა ამ სიმშილის შეს ცირებლად წარმოებული ჩვენი ხე ლისუფლების და თვით ხალხის მხრ ამავე დროს მივმართოთ ევროპ პროლეტარიატს ან საერთოდ ხალხ რომ საზღვარ-გარედ გაქცეულ მე შევიკების მიერ განძეულობის წა ბამ ქართველი ხალხის საშინელ მდგომარეობა ორჯერ მაინც გაამწ ვა. თუ ეს არ იყო აქამდე აღნუს ლი სათანადოთ, ხელმეორედ უფრ გარკვევით აღვნუსხოთ ცენტრალუ აღმასრულებელ კომიტეტის სახელი რომ იმათ დაგმონ და სამარცხვინ ბოძზე გააკრან გაქცეული მენშე ვიკები მათ მიერ ჩადენილ საქციე ლისათვის და გაიგოს ყველა რომ ქართველი ხალხის დამშე ულობაში მთლად თუ არა ნახევრ მაინც ბრალი მათ მიუძღვით.

ცერცვაძე საქმე უნდა დავაყენო იურიდიულად.

თავმჯდომარე. უკაცრავად, კამა ჯერ არ გახსნილა მოხსენების ირგ ლივ. ხომ არ არის მეტი შეკითხვ (ხმები: არ არის). საჭიროა თუ არ კამათის გახსნა? (ხმები: არა).

ცერცვაძე. მე მგონია საჭირ მოგვცეთ საშუალება...

თავმჯდომარე. თქვენ გგონიათ ამ ნესტორ, მაგრამ ყოველ შემთხვევა მე უნდა შევეკითხო კრებას. ვი არის მომხრე, რომ კამათი ამ საკი ხის ირგვლივ გაიხსნეს, გთხოვთ წიოთ ხელი. კამათი არ იხსნება.

ცერცვაძე. თქვენ უნდა მიგვეც სიტყვა ერთი კამათის გახსნის მომ რეთათვის და მეორე მის საწინააღ დეგოთ.

თავმჯდომარე. მოხსენება იყო

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 109, 110, 111, 112, 114, 116, 121, 122, 123, 124, 125, 128, 131, 132, 133

ინსტრუქცია

ქ. თბილისისა და მისი რაიონების მუშებისა და წითელ-არმიელების დეპუტატთა საბჭოს არჩევნებისათვის

1. ქ. თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ყველა მოქალაქენი განურჩევლად სქესისა, საცხოვრებელი ადგილის მუდმივობისა, ქვეშევრდომობისა, ეროვნებისა, რელიგიისა და სხვ., რომელთაც არჩევნების დღეებისათვის უკვე შეუსრულდათ 18 წელი.

ა) ყველანი, ვინც არსებობის სახსარს პოულობს საწარმოო და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით, როგორც მაგალითად: ყველა სახისა და კატეგორიის მუშები და მოსამსახურენი, დაბანდებულნი მრეწველობაში, ვაჭრობაში, სასოფლო მეურნეობაში, შინაურ წარმოებაში, (ვინც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევა), მუშათა არტელების წევრები, უმუშევარნი — პროფ-კავშირის წევრები.

ბ). წითელ არმიელები, რომელნიც ასრულებენ საგარნიზონო სამსახურს და მუდმივათ იმყოფებიან ქ. თბილისში და მის რაიონებში.

გ). მოქალაქენი, რომელნიც ეკუთვნიან ზემო-ჩამოთვლილ კატეგორიებს და რომელთაც ასე თუ ისე დაუკარგავთ შრომის უნარიანობა, დასახიჩრებული მეომრები და სხვ.

2. არ შეიძლება ამორჩეულ იქნენ და ვერც აირჩევენ; თუ გინდ ისინი შედიოდენ რომელიმე ზემოჩამოთვლილ კატეგორიაში:

ა) ის პირები, რომელნიც მოგების მიზნით სარგებლობენ დაქირავებული შრომით.

ბ) პირები, რომელნიც ცხოვრობენ არა შრომითი შემოსავლით (როგორც მაგალითად: პროცენტები კაპიტალიდან, წარმოებათა შემოსავალი, ქონების შემოსავალი და სხვ.).

გ) კერძო ვაჭრები და სავაჭრო საკომერციო შუამავლები.

დ) ბერები და სასულიერო მოსამსახურენი საეკლესიო და რელიგიური კულტისა.

ე) ყოფილი მეფის პოლიციის, საიდუმლო პოლიციის და ჩამოგდებული მთავრობის განსაკუთრებული რაზმის მოსამსახურენი და აგენტები.

ვ) პირები, რომელნიც სათანადო წესით ცნობილნი არიან სულიერ ავათმყოფებათ და აგრეთვე ის პირები, ვინც იმყოფებიან მზრუნველობის ქვეშ.

ზ) პირები, რომელთაც მექრთამეობისა ან სხვა სამარცხვინო ბოროტმოქმედებისათვის მისჯილი აქვთ კანონითა ან სასამართლოს დადგენილებით განსაზღვრული ვადით დაპატიმრება.

3. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლობის ნორმათ განსაზღვრულია: 100-დან 150-მდე ამომრჩეველი ირჩევს ერთ დეპუტატს, ხოლო ამაზე ზევით თვითეულ 150 ამომრჩეველზე ერთი დეპუტატი.

შენიშვნა: 1. თუ წარმოებაში, ფაბრიკაში, ქარხანაში, სახელოსნოში და სხვ. არის 150 ამომრჩეველზე ზევით, 75 კაცზე კიდევ მეტი, ე. ი. ნორმის ნახევარზე მეტი, მაშინ ეს უკანასკნელნი ირჩევენ თბილისის საბჭოში დამატებით კიდევ ერთ დეპუტატს.

2. წარმოებანი და თვითეული სამხედრო ნაწილები, რომელთაც არა ყავთ 100 ამომრჩეველი, ერთდებიან საერთო არჩევნების მოსაწყობად.

3. იქ სადაც შეერთება მაინც არ იძლევა ამომრჩეველთა 100 რიცხვს (მაგ. 80, 90), ამომრჩეველნი, მიუხედავათ თავიანთი რიცხვისა, ირჩევენ თბილისის საბჭოში ერთ წარმომადგენელს.

4. იქ, სადაც არჩევნები ხდება საერთო კრებებზე, რომელსაც აწყობს პროფკავშირი (მაგ. საბჭოთა მოსამსახურეების კავშირზე, ერთი დელეგატი ირჩევა ყოველი 50 დამსწრეთაგან.

4. დეპუტატების არჩევნები სწარმოებს საერთო კრებებზე.

ა) მუშების, მოსამსახურეების და რკინისგზელების,—სამრეწველო და სავაჭრო წარმოებებში (ფაბრიკებში, ქარხნებში, წარმოებაში, სახელოსნოებში და სამსახურის ადგილებში).

ბ) წითელ არმიელების,—ბრიგადებში, პოლკებში, განსაკუთრებულ ნაწილებში და ბატალიონებში, თანახმად განსაკუთრებული კავკასიის არმიის პოლიტიკური სამმართველოს და ქართული ბრიგადის პოლიტიკური განყოფილების მიერ შემუშავებული წესისა.

გ) საბჭოთა მოსამსახურეების, წვრილი მრეწველობის მუშებისა, სახლების მოსამსახურეების და სხვ. —სათანადო პროფ-კავშირის მიერ მოწყობილ კრებებზე.

დ) უმუშევრები და დასახიჩრებული პროფ კავშირების წევრები,— იღებენ მონაწილეობას არჩევნებში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, მახლობელ რაიონის კავშირში.

შენიშვნა: ქ. თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოში ირჩევიან მხოლოდ მუშები, მოსამსახურენი და წითელ არმიელები, რომელნიც მუშაობენ, ცხოვრობენ და მოთავსებულნი არიან ქ. თბილისში და მის რაიონებში.

5. არჩევნებში სახელმძღვანელოდ არსდება ცენტრალური, სარაიონო, საგარნიზონო, ბრიგადის, პოლკის და ბატალიონის საამომრჩევლო კომისიები მუშებისათვის, რაიონებისათვის და წითელ არმიელებისათვის.

6. ცენტრალური საამომრჩევლო კომისია ირჩევა 5 კაცისაგან: ერთი კომპარტიის კომიტეტიდან, ერთი საბჭოსაგან, ერთი პროფესიონალურ კავშირიდან, ერთი განსაკუთრებული კავკასიის არმიის პოლიტიკური სამმართველოდან და ერთი მემარცხენე ფედერალისტებისაგან

7. დანარჩენი საამომრჩევლო კომისიები სდგება.
ა) სარაიონო სამი კაცისაგან.
ბ) საგარნიზონო—სამი კაცისაგან.

შენიშვნა: 1. ქ. თბილისი იყოფა 4 საამომრჩევლო რაიონათ.

2. ბრიგადის, ბატალიონის, პოლკის და სხვ საამომრჩევლო კომისიებს ნიშნავს საგარნიზონო საამომრჩევლო კომისია.

8. ცენტრალური საამომრჩევლო კომისია ხელმძღვანელობს საერთოდ არჩევნებს, იძლევა ინსტრუქციებს, ნიშნავს დღესა და ვადას არჩევნებისას, ამტკიცებს ან აუქმებს არჩევნების მოხდენას, იხილავს განცხადებებსა და პროტესტებს, იძლევა დროებითი მანდატებს, იმუშავებს საამომრჩევლოს კრებების ოქმების ფორმას და მუშაობის დასრულებისას ყველა მასალებს აბარებს საბჭოს მიერ არჩეულ სამანდატო კომისიას.

9. სარაიონო, საგარნიზონო და სხ. საამომრჩევლო კომისიები ხელმძღვანელობას უწევენ არჩევნებს ადგილებზე, წინასწარ არკვევენ ამომრჩეველთა რიცხვს თვითეული რაიონისას, ყოველი სამხედრო ნაწილისას, ხელმძღვანელობენ შეერთებას მუშებისას, მოსამსახურეებისას და სხ. საერთო არჩევნებისათვის, ადგენენ საამომრჩევლო კრების ოქმებს და თავისი დასკვნითურთ უდგენენ მას ცენტრალურ საამომრჩევლო კომისიას.

10. დეპუტატების არჩევნები სწარმოებს საამომრჩევლო კომისიის წევრის ან რწმუნებულის თანადასწრებით.

11. დეპუტატების არჩევნები ხდება საერთო კრებებზე აშკარა კენჭის ყრით—ხელის უბრალო აწევით.

12. არჩევნების შედეგების შესახებ სდგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საამომრჩევლო კომისიის წევრი ან რწმუნებული და კრების პრეზიდიუმი.

13. არჩევნების დროს წარმოების მუშაობა სწყდება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მუშაობის შეჩერება ტეხნიკური მოსაზრებით შეუძლებელი ხდება.

14. ამომრჩეველთა კრება კანონიერად და სრულ უფლებიანათ ითვლება თუ მას ესწრება ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ორიმესამედით არა ნაკლები წევრით.

15. თუ კრებაზე სათანადო ქვორუმი არ იქნება, მაშინ ინიშნება მეორე კრება, რომელიც ჩაითვლება კანონიერად რამდენი რიცხვიც არ უნდა დაესწროს მას ამომრჩევლებისა.

16. ცენტრალური საამომრჩევლო კომისიაში შედიან ამხანაგები:
1. თავმჯდომარე—ივანოვ-კავკაზსკი.
2. ოდილავაძე.
3. კიკნაძე გიგო.
4. პოლიაკოვი.
5 ჩიხუნაშვილი.

17. 1 ლ სარაიონო საამომრჩევლო კომისიაში:
1. თავმჯდომარე—მორჩილაძე.
2. გოლდბაუმი.
3. ქავთარაძე ვლად.

18. მე 2 რაიონის საამომრჩევლო კომისაში:
1. თავმჯდომარე—კალანდაძე ბ.
2. კევორკიანი.
3. იტრიევი ვ.

19. მე-3 რაიონის საამომრჩევლო კომისიაში:
1. თავმჯდომარე—ასრიბეკოვი.
2. მორჩილაძე.
3. ალიტაგი ზადე.

20. მე-4 სარაიონო საამომრჩევლო კომისიაში:
1. თავმჯდომარე—ჯორბენაძე.
2. ბურჯანაძე.
3. დოხაძე.

21. საგარნიზონო საამომრჩევლო კომისიაში:
1. თავმჯდომარე—პოლიაკოვი.
2. ოკუჯავა ნ.
3. ფედიაევსკი.

ცენტრალური საამომრჩევლო კომისია იმყოფება აღმასკომის შენობაში.

ცენტრალურ საარჩევნო კომისია.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სამელიორაციო ამხანაგობანი

(გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 133)

კანონმდებელმა იცის, მას გათვალისწინებული აქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მცხოვრებლები შეუგნებლობის ან უვიცობის გამო არ შექმნიან ასეთ ამხანაგობებს, არ მიიღებენ მონაწილეობას მეურნეობის აღშენებლობაში. როდესაც ამხანაგობის დამაარსებელნი ადგილობრივ აღმოჩნდებიან და საქმის მოწყობის სურვილსც იქნება, საკმარისი არის ადგილობრივი მცხოვრებლების, რომლებიც მიწებით სარგებლობენ, ნახევარის თანხმობა და ამხანაგების დაარსება შეიძლება.

როდესაც ადგილობრივ მცხოვრებლები ნება-ყოფლობით ამხანაგობას არ შექმნიან, მაშინ საკმარისია, რომ ერთი მესამედმა გამოაცხადოს სურვილი ამხანაგობის დაარსების შესახებ და ამხანაგობის დაარსება შესაძლებელია.

დებულებაში საყურადღებო არის და სრულიად მიზან შეწონილათ უნდა ჩაითვალოს დღევანდელ პირობებში ნება-ყოფლობით და ძალდატანებით სამელიორაციო ამხანაგობების დაარსება. პირველსა და მეორე შემთხვევაში ხმა ეძლევა მათ, ვინც მიწებით სარგებლობენ. სურვილი ორივე შემთხვევაში უნდა იქნეს გამოთქმული, კანონმდებელი მოითხოვს ერთ პირობას: ამხანაგობის დაარსება შესაძლებელი არის, ამხანაგობის დაარსების უფლება ეძლევა მაშინ, როდესაც რაიონის მცხოვრებლების ნახევარი ამას მოინდომებს. მაშასადამე, დებულება განსაზღვრავს მცხოვრებლების შემოქმედებას, მათ თვით მოქმედებას. ნახევარი ადგილობრივი მეურნეების, რომლებიც მიწით სარგებლობენ, (მათი ნების ყოფას მოითხოვს კანონმდებელი), არის ის რაოდენობა, რომელიც უკვე თავდები არის იმისა, რომ დაწყებული საქმე მომწიფებულია, ადგილობრივ შეგნებული არის, მეურნეობის ადგილობრივი პირობებით არის გამოწვეული. ნახევარი მეურნეების არის ისეთი დიდი დაოდენობა, რომელიც საქმიანობას ადასტურებს, არ არის უცაბედი, შემოწვევით, მოთხოვნილება. ნახევარს იოლათ ვერ დაიყოლიებს ვერავინ.

კანონმდებელს გათვალისწინებული აქვს მეორე შემთხვევა. შესაძლებელი არის, რომ ერთი მესამედი რაოდენობის მოისურვებენ სამელიორაციო ამხანაგობის დაარსებას. ერთი მესამედი ძლიერ საპატიო და საყურადღებო რაოდენობა არის. თუ დანარჩენი ორი მესამედი წინააღმდეგი იქნება, საკმარისია ერთი მესამედის სურვილის, ნებისყოფის გამოთქმა და დანარჩენებისათვის ეს სავალდებულოა; 2 | 3 ამ ერთი მესამედის დადგენილება სავალდებულო არის, ისინი ვალდებულნი არიან ამხანაგობაში შევიდნენ და მიიღონ ყველა ის ვალდებულებანი, რომელიც ამხანაგობას წესდების ძალით ექნება. თითქოს ეს დავალება ამხანაგობის დაარსების, ერთნაირი ძალდატანება ეწინააღმდეგება პირველ მოთხოვნილებას კანონმდებლისას, რომელიც ამბობს. თუ ნახ. მათი, ვინც მიწით სარგებლობენ გამოსთქვამენ ნებას ამხანაგობის დარსებისას, ამხანაგობა დაარსდება. მეორე შემთხვევაში არის მოთხოვნილება ერთი მესამედის, რომელსაც იძულებულნი არიან დაემორჩილონ ორი მესამედი იმ რაოდენობის, რომლებიც მიწებით სარგებლობენ. წინააღმდეგობა აქ იქნებოდა მხოლოდ მაშინ, კანონმდებელს განმარტება რომ არ შეეტანა. კანონმდებელს აქვს მიღებული მხედველობაში ასეთი შემთხვევა: არის ისეთი ადგილები, სადაც სამელიორაციო მუშაობის მოწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაიონისათვის, უნდა ვგულისხმობდეთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამელიორაციო სამუშაოს პირდაპირ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. თუ ასეთ შემთხვევებში მოხდა შეთანხმება ერთი მესამედისა მაინც, ესე იგი ერთი მესამედი იმათი, ვინც მიწებით სარგებლობენ, აღიარებენ სამელიორაციო ამხანაგობის დაარსების საჭიროებას გაითვალისწინებენ მის მნიშვნელობას, შეიგნებენ მას, შეთანხმდებიან და მორგდებიან ამხანაგობის მოწყობის აუცილებლობის შესახებ, კანონმდებელი საჭიროთ სცნობს ორი მესამედი, რომელიც სხვა და სხვა მიზეზების, ანუ ზედგავლენის გამო არ იღებენ მონაწილეობას ნებაყოფლობით ამხანაგობის დაარსებაში, ისინი ვალდებულნი, იძულებულნი გახადოს მიიღონ მონაწილეობა ამხანაგობის მოწყობაში. მაშასადამე, აუცილებელი საჭიროება სამელიორაციო ამხანაგობის, მნიშვნელობა მელიორაციის, ნების ყოფა ერთი მესამედის, აიძულებს დანარჩენთ დაემორჩილონ და მიიღონ მონაწილეობა ამხანაგობის მოწყობაში, მიიღონ საერთო წესდებით განსაზღვრული პასუხისგება ამხანაგობის მოქმედებაში, განსხვავებამ და გარჩევამ ამხანაგობების ნება-ყოფლობით და ძალ დატანებით დაარსების შესახებ შეიძლება გამოიწვიოს რამდენიმე შენიშვნები. შეიძლება ვინმემ სთქვას; თუ კანონმდებელს—უნდა გააძლიეროს ადგილობრივ სამეურნეო შემოქმედება, უნდა ხელი შეუწყოს და წაახალისოს მეურნეები, მაშინ რა საჭიროა ძალდატანება უმცირესობის. თუ შემოქმედებას ეძლევა თავისუფლება — მაშინ ეს თავისუფლება დარჩეს. ჩვენს დარწმუნებულნი ვართ, რომ აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ დებულება არღვევს თავისუფლებას და დამოუკიდებლობის კოოპერაციას. ვინც დებულებას არ ჩაუფიქრდება, ის აუცილებლად ასეთი აზრისა იქნება. ნამდვილად საქმის ვითარება ასეთი არ არის. კოოპერაციის დებულებანი არ წარმოადგენენ ასეთ რამეს, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ არიან დამუშავებულნი. დებულებანი იცვლებიან, ფართოვდებიან, ან და სრულებით უკუიგდება ეკონომიურ განვითარების მიხედვით. არ შეიძლება დებულებთ, შებოჭილი იქნეს ცხოვრების მრავალფეროვანი მიმდინარეობა საქმე არც ამაში არის. სამელიორაციო ამხანაგობანი განსაკუთრებული ხასიათის ამხ ნაგობანი არიან, განსაკუთრებული სახის კოოპერაციაა. ვთქვათ, სადმე არსდება მომხმარებელი ამხანაგობა, ან საკრედიტო, ან გამსაღებელი. ვისაც უნდა ის შევა წევრათ კოოპერაციაში და ასარგებლებს კოოპერატიული მუშაობით. მოიგებს ის, ვინც, წევრი იქნება, ვინც გარეშე დარჩება ის წააგებს, როდესაც იგი ამას შეიგნებს აუცილებლათ მიიღებს მონაწილეობას ამხანაგობაში, სულ სხვანაირი მდგომარეობა არის სამელიორაციო ამხანაგობაში. დაარსდა სამელიორაციო ამხანაგობა, რომელსაც გაყავს არხები, რწყავს მიწებს, მაგრებს მდინარის ნაპირებს. მთელი კუთხე გამოცოცხლდება. მაშასადამე ამ ნაწილი მეურნეების ამ კუთხის იღებს პასუხისგებას, აწარმოებს რთულ მუშაობას. მეორე ნაწილი, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებს, შეიძლება უშლის კიდეც მუშაობას (წარმოვიდგინოთ არხის გაყვანა საჭიროა იმის ბინაზე, ვინც წევრი არ არის ამხანაგობის დ არ მისცემს ნებას მის მიწაზედ გაიაროს არხმა, ან მოხდეს მუშაობა), ის საბოლოოდ ისარგებლებს სხვისი ნამოქმედარის, პასუხის გების შედეგებით. ასეთი მდგომარეობით ნაკარნახევთა ერთნაირი ძალდატანებით სამელიარაციო საზოგადოებების შექმნა. ძალდატანება არ არის სწორი სახელწოდება, ვინაიდგან აუცილებელი არის ამხანაგობის დაარსებულათ ერთი მესამედი მიწის მფლობელობის ნების ყოფა. მთავრობა საერთოდ ძალას არ ატანს სამელიორაციო ამხანაგობების დაარსების შესახებ, კანონმდებელი ანგარიშს უწევს ადგილობრივი მეურნეობას, როდესაც მოითხოვს ერთ ნახევრის და ერთი მესამედის ნებისყობას. უადვილებს რა კანონმდებელი სამელიარაციო ამხანაგობების დაარსებას, მიზნათ ისახავს ადგილობრივი, მცხოვრებლების სამეურნეო შემოქმედებას.

სამელიორაციო ამხანაგობის მიზანია: 1) შეერთებული ძალებით და საშუალებით ახალი სარწყავი არხების მოწყობა, 2) სარგებლობა უკვე მოწყობილი სარწყავი არხებით, 3) დაცვა და მოვლა მოწყობილი არხების; ესე იგი სამელიორაციო ამხანაგობების ვალდებულებაა 1) ურწყავი მიწების მორწყვა, 2) ჭაობიანი ადგილების ამოშრობა და მეურნეობისათვის მოწყობა, 3) მდინარეების ნაპირების გამაგრება 4) ხრამების, ჩავარდნილ ადგილების ამოვსება, 5) წყლის მიწოდება.

ნათესების მდგომარეობა წელს

(სახურსათო თათბირის წევრებთან საუბრიდან).

თელავის მაზრაში. მოსავალი იქნება საშუალოზე უკეთესი. სულ დათესილია ხორბლეულობით 30500 დესეტინა მიწა. აქედან:

დათესილია	დესეტინ. რაოდენობა	მოსალოდნელი მოსავალი 1 დესეტინაზე	
ანეული ხორბალი	18900	75	ფ.
გაზაფხულზე ნათესი ხორბალი	200	60	„
ანეული ქერი	2000	75	„
გაზაფხულზე ნათესი ქერი	300	60	„
სიმინდი	8600	100	„
შვრია	300	60	„

ამნაირად მთელი მოსავალი იქნება 2491600 ფუთი; აქედან:

ანეული ხორბალი	1418000 ფ.
გაზაფხ. ნათესი ხორბალი	12000 ფ.
ანეული ქერი	165000 ფ.
გაზაფხულზე ნათესი ქერი	18000 ფ
სიმინდი	860000 ფ.
შვრია	18000 ფ.

ამავე დროს ბაზარზე ხორბლის მოთხოვნილება გამოიხატება შემდეგ ციფრებში: სურსათის სახით 1900000 ფუთი თესალთ—250100, საქონლის გამოსაკვებად 100000 ფ. ამნაირად ზედმეტად დარჩება 240000 ფუთი; მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მცხოვრებთა დანარჩენ მოთხოვნილებას სხვა სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ შარშანდელი მაგალითის მიხედვით 150000 ფუთს და მაშასადამე ფაქტიური ნაშთი, იმ შემთხვევაში თუ მოსავალი გაამართლებს იმედებს, ზედმეტი დარჩება სულ 90000 ფ.

რაც შეეხება დათესილ სივრცეს იგი უდრის სიმინდისათვის 21 წლის ნათესს, ქერისა და შვრიასათვის 20 წლის ნათესს, ხოლო ხორბალისათვის 20 წელთან შედარებით ნათესების სივრცემ 5 პროცენტით. ზოგიერთ ადგილებში შემჩნეულია მავნე მწერები--მახრა და ჭრიჭინა, რომლებსაც შეუძლია მიაყენოს ნათესს ზარალი 1—2 პროცენტამდე, მაგრამ თუ არ იქნა მიღებული მათ წინააღმდეგ ზომები, მომავალ წელში მათ მიერ მოყენებული ზარალი დიდი იქნება.

ოზურგეთის მაზრაში. მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანს. დათესილი მიწების სივრცე შედარებით ომამდე დათესილ არესთან გაიზარდა 20 პროცენტით.

ახალციხის მაზრაში. მიმდინარე წელში ახალციხის მაზრაში მოსავალს საუცხოვო პირი უჩანს. 10 წელია, რაც მაზრას ასეთი მოსავალი არ უნახავს. ზოგიერთ რაიონებში ქერის აღებას დაიწყებენ 2—3 კვირის შემდეგ; ამ ადგილების უმეტესი ნაწილი მდებარეობს ზღვის პირიდან 5000 ფუტ. სიმაღლეზე და ამის გამო მაზრისათვის ეს ჯერ არყოფილი მოვლენაა. სეტყვას დიდი ზიანი არ მოუტანია, აბასთუმანის მცირე რაიონის გამოკლებით. სხვა რაიონებში ხილის მოსავალს დიდს ელოდებიან—1500000 ფუთამდე ვაშლს და მსხალს. აუცილებლად საჭიროა ვიზრუნოთ კონსერვების ფაბრიკის მოსაწყობად, რომ არ დაილუპოს უბრალოდ აურებელი ხილი.

ფორმაციული ხასიათისა. ჩვენ გავეცანით იმ მდგომარეობას, რომელიც არის და იმას თუ რა ზომებს ღებულობს მთავრობა. არის თუ არა რაიმე წინადადება ამის ირგვლივ? არის წინადადება ამხ. ფილიპეს, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა მთელი თავისი ძალღონით დამშეულთა დახმარების საქმეში ჩაითრიოს ფართე საზოგადოება და დასახულ მიზნების განხორციელებისათვის ყოველი ღონე იღონოს. სხვა წინადადება ხომ არ არის? (ხმები: არ არის) მაშასადამე, კრება ამ წინადადებას ღებულობს.

ცერცვაძე. ჩემი წინადადებაა, რომ ამ დახმარების საქმეს მიეცეს სავალდებულო ხასიათი და არა სამადლო საქველმოქმედო. იყოს გამომუშავებული კონკრეტიული დადგენილება იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება მალე შეუდგნენ რეგისტრაციას და სამკაულების შეკრების საქმეს, ვადიანად. (ხმა: ეს ზომები არის მიღებული).

თავმჯდომარე. მაშასადამე, აღმასრულებელი კომიტეტი ადასტურებს იმ ზომებს, რომელიც არის მიღებული დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის მიერ (ხმები: „დიახ!") არის დამატება ამხ. საბაშვილისა, რომელიც მოითხოვს, რომ ჩვენ მივმართოთ იმ სახელმწიფოებს, სადაც არიან თავშეფარებულნი გაქცეულ ყოფილ მთავრობის წევრები, რათა აიძულონ ყოფილი მენშევიკური მთავრობა, რომ მან ის განძი, რომელიც გაიტაცა საქართველოდან დაუბრუნოს ქართველ ხალხს დამშეულთათვის მოსახმარებლად. ვინც არის მომხრე ამ წინადადებისა გთხოვთ ასწიოთ ხელი. წინადადება მიღებულია.

ამხანაგებო, ეხლა კრება უნდა დავხუროთ საღამომდის, საღამოს კრებაზე იქნება განსახილველი ორი საკითხი—კომისიების არჩევა...

ცერცვაძე. საღამოს მიტინგებია დანიშნული. (ხმა. ხვალ დილით შევიკრიბოთ).

თავმჯდომარე. მაშ, ხვალ დილისთვის გადავდოთ. (ხმა: რა საკითხებია?) საჭიროა არჩევა კომისიებისა, რომელნიც გადასინჯავენ კომისარიატების მუშაობას, სხვათა შორის იქნება საკითხი მთავრობის შემადგენლობის გადასინჯვისა, ერთი სიტყვით, გასარჩევია ორგანიზაციული საკითხები. რადგან საღამოს მიტინგებია, გადავდოთ ხვალ დილის ათი საათისათვის.

ღლონტი. ეხლა არის მხოლოდ პირველი საათი და თუ კი მომზადებული ხართ სჯობიან კრება განვაგრძოთ.

თავმჯდომარე. წინასწარ მუშაობის დამთავრებას მარტო საღამოსთვის შევძლებთ.

ტოროშელიძე. ხვალ დილისთვის აღმასრულებელ კომიტეტის ბევრ წევრთ და თვით თავმჯდომარესაც არ ეცლება, ვინაიდან დუშეთის მაზრაში დანიშნულია არხის გახსნა, რომელსაც უნდა დაესწროს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და ამიტომ ხვალ დილისთვის ნუ დავნიშნავთ კრებას, ან კრება განვაგრძოთ ეხლა, ან და დავნიშნოთ ამაღამ მიტინგების შემდეგ.

მახარაძე. ამხანაგებო, უნდა განვაცხადო, რომ ის საქმე, რომლის შესახებაც ტოროშელიძემ განაცხადა, ჩვენთვის ცნობილი არ არის. აღმასრულებელმა კომიტეტმა და მისმა პრეზიდიუმმა ამის შესახებ არაფერი არ იცის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ამხანაგები ზოგჯერ არაფერ საქმეზე არ არიან დაბანდებულნი, მაინც არ ესწრებიან კრებას. ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. რაც შეეხება კრების სხვალისათვის გადადებას, იმიტომ, რომ მიტინგები არის მეც ამის წინააღმდეგი არა ვარ. ჩვენ ამ საღამომდე ვერ მოვასწრებთ წინასწარი მუშაობის დამთავრებას. ეს გარემოება აბრკოლებს იმას, რომ საღამოს კრება გავმართოთ. არხის გახსნაზე მთელი აღმასრულებელი კომიტეტის წასვლა რა საჭიროა, საკმარისია ერთი წარმომადგენელი წავიდეს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით.

ლაფანაშვილი. მე ამხ. ტოროშელიძის საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, რომ ხვალ არხის გახსნა არ შესდგება. მე გადავეცი ამხანაგებს, რომ ვიდრე აღმასრულებელი კომიტეტი არ დაესწრება, არხის გახსნა არ შესდგეს. ამიტომ ვაცხადებ ამას ამხ. ტოროშელიძის საყურადღებოდ, რომ ის ხვალ არ წავიდეს.

ტოროშელიძე. კამათის ხასიათს იღებს ეს წინადადება. ამხ. ფილიპემ სთქვა, რომ არხის გახსნა პრეზიდიუმმა არ იცის. დუშეთის წარმომადგენელიც აცხადებს, რომ არხის გახსნა არ შესდგებაო. მე ვაცხადებ, რომ ეს არხის გახსნა შესდგება მიუხედავად იმისა, რომ იცის თუ არა ეს აღმასრულებელმა კომიტეტმა. დუშეთის აღმასრულებელი კომიტეტი ამ არხის გახსნას უნდა დაესწროს ეხლა. გლეხები სდგანან და გვიწოდებენ. ისინი იქ დაგვიხდებიან ხვალ. მათ აქვთ ბევრი საკითხები გადასაწყვეტი. ამის გადადება შეუძლებელი არის. ჩვენ გლეხები, რომლებიც გვიცდის, უნდა დავაკმაყოფილოთ.

თავმჯდომარე. აქ საკითხს არ ვარჩევთ წავიდეთ თუ არა. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ საკითხი კრება შესდგეს თუ არა და როდის. მე უყრი კენჭს. ვინც არის მომხრე, რომ კრება შესდგეს ხვალ, საღამოს ხუთ საათზე, გთხოვთ ასწიოთ ხელი. უმრავლესობა. ეს წინადადება მიღებულია. კრება დახურულია.

(კრება იხურება 1 ს. 15 წ.).

სხდომა მეხუთე.

სხდომა იხსნება სასახლეში აპრილის 19 საღამოს 8 ს. და 25 წ.

თავმჯდომარეობს ამხ. მახარაძე.

თავმჯდომარე. სხდომას გახსნილად ვაცხადებ. წესრიგში გვაქვს ორი საკითხი. პირველი—ცვლილებების შეტანა მთავრობაში და მეორე სხვა და სხვა კომისიების დადასტურება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისაგან. პირველი საკითხის შესახებ, წინადადებისათვის სიტყვა აქვს ამხ. საბაშვილს.

საბაშვილი. როგორც მოგეხსენებათ, ერთი თვის წინედ, პირველი სესიის დროს, როდესაც მთავრობა შევადგინეთ, დროებით დატოვებულ იქნა ორი კომისრის ადგილი: შინაგან საქმეთა და განათლების კომისარის. ვინაიდან კანდიდატი სასურველი არ გვყავდა ეს ადგილები დავტოვეთ და მივანდეთ პრეზიდიუმს შესაფერი კანდიდატის გამონახვა და წარდგენა შემდეგი სესიისათვის. ეს პირველი. მეორე იყო მთავრობის თავმჯდომარე, რომლის თანამდებობაზე ჩვენ დავასახელეთ ამხ. ბუდუ მდივანი. ის შევიდა ამიერ კავკასიის საბჭოთა მთავრობაში და დებულების ძალით, რომელიც შედის საბჭოთა ამიერ-კავკასიის მთავრობაში მას არ შეუძლია იყოს ნაციონალური მთავრობის თავმჯდომარე და მით უმეტეს წევრი. თანახმად ამისა ფრაქციის ბიუროს ჰქონდა მსჯელობა, რის შემდეგაც შემუშავებულ იქნა სია კანდიდატებისა მთავრობის თავმჯდომარის, განათლების კომისრის და შინაგან საქმეთა კომისრის თანამდებობაზედ. მესამეა სამხედრო კომისარი. ჩვენ მიერ იყო დადასტურებული ამხ. ელიავა. ის აგრეთვე ითვლება ამიერ-კავკასიის საბჭოთა სამხედრო კომისრად, ამიტომ ჩვენ გვინდა დავნიშნოთ სხვა ამხანაგი მის მაგივრად, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, ის არ შეუძლია იყოს ერთ და იმავე დროს ამიერ-კავკასიის სამხედრო კომისარი და საქართველოსი. აი ჩვენი ფრაქციის კანდიდატურა, ვაცხადებთ შემდეგს: მთავრობის თავმჯდომარეთ—ამხ. ქავთარაძე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრათ—ამხ. გეგეჭკორი, სამხედრო კომისრათ ამხ. ჯიქია, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარეთ—კვირკელია, განათლების კომისრათ—ამხ. კანდელაკი.

თავმჯდომარე. არის თუ არა სხვა წინადადებები? ასეთი არ არის. მე კენჭს უყრი. გთხოვთ, ვინც მხარს უჭერს ამხ. საბაშვილის განცხადებას, ასწიეთ ხელი. ვინ არის წინააღმდეგი? ვინ შეიკავა თავი? არავინ. ამგვარად მთავრობის შემადგენლობაში ცვლილების მოხდენა მიღებული არის. მეორე საკითხში დგას სხვა და სხვა კომისიების არჩევის და დადასტურების. ეს კომისიები დანიშნულია პრეზიდიუმის მიერ და ამხ. საბაშვილი მოგახსენებთ თუ ვინც არის დასახელებული.

საბაშვილი. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში იდგა საკითხი იმის შესახებ, რომ შემდგარიყო კომისიები. რომ მთავრობის განკარგულებები და კანონები, რომელიც გამოცემული იყო დღემდე, უნდა გადასინჯულიყო. ამიტომ პრეზიდიუმის აზრით უნდა შესდგეს კომისია, ფრაქციის სახელით ამ კომისიის წევრებად ვასახელებ შემდეგ ამხანაგებს: თედორე კალანდაძე, თუმანოვი და გეგეჭკორი. გარდა ამისა საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ჩვენი შემოსავალ გასავალი, ე. ი. ბიუჯეტი. ამ კომისიისათვის ფრაქციის სახელით ვადგენ შემდეგს: ტოროშელიძე, სვანიძე და ერქომაიშვილი. მესამე კომისია, რომელიც უნდა შესდგეს და რომელმაც რევიზია უნდა გაუკეთოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც აქამდე იყო, შესდგება შემდეგ ამხანაგებისაგან: მამია ორახელაშვილი, კაკაბაძე და ჟოჟიკაშვილი.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ეს კომისიები თუმცა დასახელებულია მხოლოდ სამი, მაგრამ ეს რიცხვი შეადგენს ამ კომისიების ძირითად უჯრედს. თვითონ ამ კომისიებს შეუძლიათ მოიწვიონ მცოდნე პირები, სპეციალისტები, რომელნიც აუცილებელი საჭიროები იქნებიან ამ კომისიის მუშაობისათვის. არის თუ არა სხვა წინადადება? არის თუ არა რაიმე დამატება?

ჭანიშვილი. ამხანაგებო, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში შეიძლება თედო ღლონტიც შევიტანოთ?

საბაშვილი. მე მგონია, რომ რიცხვი კომისიისა, როგორც ფრაქციის სახელით გამოაცხადეს, სამი უნდა იყოს. ჩვენ შეგვიძლიან კომისიას დავავალოთ, რომ კანდიდატათ მოწვეულ იქნეს ამხ; თედო ღლონტიც. ამგვარად, მე მგონია, ამხანაგებიც დაკმაყოფილდებიან.

ქავთარაძე. რაც შეეხება კომისიის უფლებებს, რომ ნება ეძლევა მოიწვიოს, ასე ვსთქვათ. სპეციალისტები იმ საკითხებში, რომლებშიაც მუშაობა ევალება, ასე საკითხი არ შეიძლება დაისვას, როგორც ამხ. საბაშვილმა დასვა. აქ წინადადება იყო, რომ სრულ უფლებიან წევრად ამ კომისიისა დამტკიცებულიყო ამხ. თ. ღლონტი და არა როგორც სპეციალისტითა დამხმარე მუშაკი. აქ გარკვეული წინადადება არის სრულიად.

თავმჯდომარე. როგორ გნებავთ?

სტურუა. ჩემი აზრით უსათუოდ სამ სამი წევრით განსაზღვრა კომისიისა კანონი არ არის. ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი, რომ ამხანაგებს დაემატოს თედო ღლონტი და ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, როგორ გნებავთ, უყარო კენჭი ამ კომისიებს ცალ-ცალკე თუ ერთად? რადგან არის წინადადება, რომ ცალ ცალკე უყარო, ამიტომ უყრი ცალ-ცალკე. პირველი კომისია სხვა და სხვა დეკრეტების, კანონების და დადგენილებების გადასასინჯავათ შემდგარია შემდეგ ამხანაგებისაგან: თუმანიშვილი, გეგეჭკორი და კალანდაძე. არის თუ არა ვინმე წინააღმდეგი? მიღებულია. მეორე კომისია სახელმწიფო დაწესებულებათა რევიზიის მოსახდენად. დასახელებულია შემდეგი ამხანაგები: მამია ორახელაშვილი, კაკაბაძე და ჟოჟიკაშვილი. არის თუ არა სხვა წინადადება? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი კომისია არის საფინანსო-საბიუჯეტო. შემოტანილია განცხადება, რომ არჩეულ იქნას სამი კაცისაგან. არის მეორე წინადადება—არჩეულ იქნას ოთხი ამხანაგისაგან.

თოდრია. კომისია შესდგეს სამი პირისაგან: მოიხსნას ამხ. ერქომაიშვილი და მის მაგიერ არჩეულ იქნეს ამხ. ღლონტი.

თავმჯდომარე. მაშასადამე წინადადება არის წამოყენებული, რომ კომისიაში არჩეულ იქნეს შემდეგი კანდიდატები: ტოროშელიძე, სვანიძე და თ. ღლონტი.

ხმა. (ადგილიდან) მე არ ვხსნი ამხ. ერქომაიშვილის კანდიდატურას და მაინც ვასახელებ.

კალანდაძე. მაშასადამე არის ორი წინადადება: ერთი თოდრიასი, რომ მესამე კანდიდატი იყოს ამხ. თ. ღლონტი, მეორე დარჩეს ერქომაიშვილი.

თავმჯდომარე. ამხ. ერქომაიშვილი ხსნის თუ არა თავის კანდიდატურას?

ერქომაიშვილი. არა.

თავმჯდომარე. ამხ. საბაშვილო, თქვენი აზრი.

საბაშვილი. ჩემი წინადადება არის ტოროშელიძე, სვანიძე და ერქომაიშვილი.

მ. ოკუჯავა. სამი კანდიდატი დარჩეს და დაემატოს თ. ღლონტი.

თავმჯდომარე. ამხ. საბაშვილი წინააღმდეგი არის თუ არა დაემატოს თ. ღლონტი? (საბაშვილი: არა). მაშასადამე, კომისიაში არიან ამხ. ტოროშელიძე, სვანიძე, ერქომაიშვილი და ღლონტი.

ამხანაგებო, საგანგებო სესიის მუშაობა დასრულებული არის. ის საკითხები, რომლებიც დაყენებული იყო დღის წესრიგში ამოწურული არის და ამიტომ საგანგებო სესიის სხდომას დახურულად ვაცხადებ.

(სხდომა იხურება საღ 9 საათზე).

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი" № 133.

ყველა ამ საქმეების მოგვარება ძლიერ საჭიროა და ძლიერ რთული საქმეა საერთოდ. მხოლოდ თითეული ამხანაგობა საქმიანობას აწარმოებს თავის რაიონებში. შრომის ასეთი დანაწილება თავდები არის იმისა, რომ ამხანაგობანი შესძლებენ საქმის მოპართვას.

ამხანაგების წევრები არიან: 1) ყველა, ან ვინც მიწებით სარგებლობს, კერძო პირები, საზოგადოებანი, ამხანაგობანი იმ რაიონში, სადაც სამელიორაციო სამუშაო არის.

სამელიორაციო ამხანაგობას აქვს უფლება იურიდიული პირის, მაშასადამე ამხანაგობას შეუძლია: 1) შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება კანონის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში; 2) იკისროს სხვა და სხვა ვალდებულებანი; 3) გამოვიდეს სასამართლოებში და ეძიოს თავისი უფლებანი.

ამხანაგობანი სამელიორაციო სამუშაოს აწარმოებს სხვა და სხვა საშუალებით: 1) აგროვებს ფულებს წევრებს შორის და პოულობს თანხებს ყოველგვარი კანონიერი გზებით, 2) იწვევს სამუშაოთ თავის წევრებს; 3) თუ წევრი ამხანაგობის პირადათ შრომის ბეგარას არ იხდის, ამხანაგობას უფლება აქვს აიძულოს წევრი, რათა მან შეასრულოს თავისი მოვალეობა. ამასთან ამხანაგობას შეუძლია შრომის ბეგარა შეუცვალოს გადასახადი ფულით. ადმინისტრაციის პირები ვალდებულნი არიან უდაოთ შეასრულონ ყველა ის მოთხოვნილება ამხანაგობის წევრების მიმართ, როდესაც ისინი თავის ვალდებულებას ამხანაგობის წინაშე არ ასრულებენ.

ამხანაგობის წევრობის უარყოფა შეიძლება მაშინ, როდესაც წევრმა დაკარგა უფლება მიწის სარგებლობის; ამხანაგობა შეიძლება დაიშალოს, როდესაც იგი ასრულებს თავის სამელიორაციო საქმეს, და თუ წევრები ერთხმათ მოისურვებენ მისი გაუქმებას. ასეთი მძიმე მოთხოვნილება კანონმდებლობის აიხსნება იმით, რომ აჩქარებით, რაიმე გარეშე გავლენით არ მოხდეს ამხანაგობის მოქმედების შეჩერება და გაუქმება.

დებულება ძლიერ საყურადღებოა საქართველოს მეურნეობისთვის.

იგი მისაღებია და ადგილობრივ აუცილებელია მისი გავრცელება, ახსნა, განმარტება. აუცილებელია ხალხის ამოძრავება. დებულების გამოქვეყნება არ არის საკმაო: საჭიროა ცოცხალი სიტყვა, ქადაგება ხალხში.

ხ. ავალიანი.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

ბრძოლა მავნეებთან და ხელახალი დათესვა

სენაკის მაზრაში გაჩნდა სიმინდის ჭია და სხ. მავნე მწერები, რომელმაც დააზიანა 3000 ქცევა სიმინდის ნათესი (ქცევა ერთი-მესამედ დესეტინაზე ცოტა ნაკლებია, მაშასადამე დაზიანებულია სულ 675 დეს.) სენაკის მაზრის აგრონომის და სამაზრო თესვის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ჯინორიას განცხადებით მავნეებმა სავსებით გააფუჭა სიმინდის ყანები, რომლის მოსავალი ამის გამო სრულიად მოისპობა.

მავნეების ასეთი გამრავლება აიხსნება, მათი მოშენებისათვის ხელშემწყობ გვალვებით, რომელიც დაიწყო მთელ მაზრაში. სენაკის მაზრაში სიმინდის ჭია და სხ. მავნეები ჩვეულებრივად მრავლად იცის, მაგრამ წვიმიან წლებში ეს პარაზიტები სინესტის გამო სუსტად მრავლდებიან და ამიტომ ასეთ დროს მათ მიერ მიყენებული ზარალიც მცირეა.

ამ ჟამად მავნეებთან საბრძოლველად არავითარი ღონისძიების მიღება არ შეიძლება, ვინაიდან 10—12 დღეში ისინი გაიკეთებენ პარკს. საგაისოდ მათი განადგურებისათვის მიწად-მოქმედების კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები, რისთვისაც ადგილობრივ გაიგზავნა სპეციალისტი და მიშიაკი.

იმ ადგილების ხელმეორედ დასათესად, რომელიც დაზიანებულია მავნეთა მიერ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოითხოვა თესვის ცენტრალური კომიტეტისაგან 2 ვაგონი სიმინდი, მაგრამ თესვის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა 1 ვაგონი ამერიკული სადრეო სიმინდი და ურჩია აწარმოვონ ხელმეორე თესვა რიგებად, გამოდიოდა რა იმ მოსაზრებიდან, რომ დაბნევით დათესის დროს ერთ დესეტინას მოუნდება 3—4 ფუთი თესლი, და ამ შემთხვევაში დიდძალი თესლი ტყუილ-უბრალოდ დაიკარგება; რიგებად თესვის დროს დესეტინას მოუნდება 1 ნახ.—2 ფუთი და თესლის ტყუილ-უბრალოდ დაკარგვის პროცენტიც მეტად მცირე იქნება.

თესვის ცენტრალურ კომიტეტში მოდის ცნობები, დაბლობებში ყველგან ქერის აღების შესახებ.

ამიერ-კავ. რკინის-გზების პროფკავშირების გაფართოვებული პლენუმი

4 და 5 ივნისს რკინისგზელთა პროფკავშირის გაფართოებულმა პლენუმმა მოისმინა რამოდენიმე მოხსენება, რომელმაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის.

კულტურულ განყოფილების მოხსენება.

შრომისა, საორგანიზაციო და კულტურულ განყოფილებათა მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიც რკინისგზელთა პროფკავშირის მუშაობა საქმიანათ არის აღიარებული. ამავ დროს ამ რეზოლიუციით განზრახულია ბავშვთა სასკოლო კოლონიისა და მუშათა დასასვენებელ სახლის გახსნა. რკინისგზის სამმართველოს წინადადება ეძლევა გააშენოს საცხოვრებელი ბინები ზუბოვსკის (მეღანის) წყალსადენზე მომუშავეთათვის; დამტკიცებულ იქნა კულტურულ განყოფილების პროექტი, რომლითაც სკოლები, საბავშვო ბაღები და სახლები გადადის გზათა სამმართველოს ადმინისტრატიულ სამეურნეო გამგებლობაში და რომლითაც აუცილებელია გზათა სამმართველოსთან განათლების განყოფილების მოწყობა სამსახურის უფლებებით.

შემდეგ ამისა პლენუმმა დაადგინა სთხოვოს საკავშირო საბჭოს დაამტკიცოს გეგმა მატერიალურ საშუალებათა ორგანიზაციისა რკინის გზებზე სასკოლო-საგანმანათლებლო საქმის მოსაწყობად და შესანახად და მიიღოს ზომები განათლების საქმეში დავალიანების ლიკვიდაციისათვის. გარდა ამისა დადგენილ იქნა კულტურულ მუშაობისათვის გადადებულ იქნეს პროფკავშირის საწევრო გადასახადის საერთო ჯამიდან 5 პროც.

სატარიფო საკითხი.

სატარიფო საკითხის შესახებ მომხსენებელი ამხ. გაუსმანი შეჩერდა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ტარიფების განაწევრის გათანასწორებაზე და კომუნალურ სამსახურის ხარჯების ნორმებსა და ნატურალურ გასამრჯელოს გაცემის საკითხზე. მოხსენების უკანასკნელი ნაწილი ეხებოდა კოლექტიური ხელშეკრულების პროექტის განხილვას.

ამ საკითხის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმი ადგენს გაატაროს თანდათანობითი გათანასწორება სამუშაო ხელფასის რეალურ ღირებულებისა ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთელ ხაზზე, რისთვისაც საფუძვლად მიიღოს საქართველოში არსებული განაწევრი ტარიფისა იმ გვარად, რომ სამუშაო ხელფასის მინიმუმი არ უნდა იქნეს უფრო მცირე სახელმწიფო და სამრეწველო დაწესებულებებში არსებული მინიმალური ხელფასისა.

იმ შემთხვევაში თუ სატარიფო განაწევრი არ იქნება მომატებული, მაშინ გზათა სამმართველომ უნდა გადაიხადოს ხარჯები კომუნალური სამსახურისათვის. გარდა ამისა უნდა მოეწყოს რკინისგზელთათვის დაკლებულ ფასებში კვებისა და ფართო მოთხოვნილების საგნების ყიდვა, რის გამოც გზათა მმართველობის მიერ სახელმწიფო მარაგისაგან მიღებული საგნები—სამუშაო ხელფასისათვის, გარდა პურისა და აგრეთვე მის მიერ ფრახტისათვის მიღებული პროდუქტები, უნდა ხმარებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ რკინისგზელთა შორის გასასყიდათ. რაც შეეხება ლექტიურ ხელშეკრულებას, მისი დადება გადადებულ იქნა დროებით, სანამ არ დამთავრდება სრულიად რუსეთის ტრანსპორტის მომუშავეთა კონფერენცია.

გზათა უფროსის ამხ. შიშკოვის მოხსენება.

ძალიან საინტერესო გამოდგა გზათა უფროსის ამხ. შიშკოვის მოხსენება. იანვრიდან გზების მიერ გადაზიდვის გეგმის ასრულება პროგრესიულად იზრდება. ორთქლმავალებისა და ვაგონების დღე-ღამის განმავლობაში გარბენის სისწრაფეც მატულობს. რაც შეეხება ცისტერნების გარბენის სისწრაფეს, იგი თებერვალში ერთგვარად შემცირდა, მაგრამ მარტიდან ისიც თანდათან იზრდება. ვაგონების რიცხვი, რომელნიც ეკავათ საცხოვრებლათა და საწყობებისათვის საგრძნობლად შემცირდა. სხვადასხვა გზებიდან ვაგონების მისაღები და თვით ჩვენ გზებზე ვაგონების დატვირთვის მუშაობა შესამჩნევად გაიზარდა. საერთოდ,—ამბობს მოხსენება—კომერციული სისწრაფე გზებზე გადიდდა მნიშვნელოვან ნორმამდის.

წარმოების ნაყოფიერება ყველაზე უფრო მაღლა სდგას თბილისის მთავარ სახელოსნოებში და ყველაზე უფრო მცირეა ბაქოში.

მაისში წარსულ თვეებთან შედარებით თვალსაჩინოდ იჩინა თავი ორთქლმავალების რემონტიდან გამოყვანამ. აგრეთვე მცირდება ავათმყოფ ვაგონების მოხსნის რიცხვი. რაც შეეხება სათბობი მასალის დახარჯვას, თუმცა იგი ცოტათი მაინც აღემატება ნორმას, მაგრამ ეს მომატება გამართლებულია ორთქლმავალების მიერ სათბობი მასალის მიზანშეწონილი დახარჯვით.

გაუმჯობესდა აგრეთვე ხე-ტყის მასალის მდგომარეობაც. არის იმედი, რომ შპალების დამზადების საქმე გავაუმჯობესოთ სამეურნეო საშუალებით.

გზას მოელის საშიშროება, მოძრაობის მხრივ, ხელოვნური შენობებისგან, რის გამოც განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქციული სამხრეთის გზას. შტატების შემცირება დამთავრებულია: თვითეულ ვერსზე მოდის 10 კაცი და აწი ახალი შემცირება უკვე შეუძლებელია.

გზების საერთო შემოსავალი თანდათან მატულობს. ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობას და მთელ ტყიბულის ხაზს მოელის საშიშროება მოძრაობის შეჩერებისა.

ამანათების გაგზავნისათვის, გზებზე, ბარგის გამგზავნელთათვის, შემოღებული იქნება საჩეკო წიგნაკი, რომელიც ამასთან ერთად გააადვილებს ფულით ანგარიშის გასწორებასაც. ცენტრიდან მასალის მიწოდება ძალიან შემცირდა, რის გამოც მომავალში უმთავრესად იმედი უნდა ვიქონიოთ ადგილობრივი საშუალებებისა.

საერთოდ მდგომარეობა მასალების მხრივ არ უნდა ჩაითვალოს უნუგეშოთ, ვინაიდან ჩვენი საკუთარი მარაგის გარეშე, ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ადგილობრივი ბაზარით.

პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუციით, გზათა სამმართველოს მიერ წარმოებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი.

სხდომის დასასრულში პლენუმმა მოისმინა მოხსენებები ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, გზების ჯანმრთელობის გაფართოებისა, გზების დამხმარე კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო—მომხმარებელი საზოგადოებისა, რომელთა შესახებაც აგრეთვე მიღებულ იქნა რეზოლიუციები.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკანტროლო კომისიის დადგენილება

1922 წლის იანვარი და თებერვალი.

გამორიცხული არიან პარტიიდან:

1) ამხ. მიულბახი და ბიჩკოვი—გატეხის საშუალებით ქურდობისთვის.

2) ამხ. ანდრო ლოლობერიძე სისტემატიური ლოთობისათვის, სახაზინო ფულის გაფლანგვის და მოვალეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

3) ამხ. სიმონ გოგიშვილი და ივანე მოგილოვსკი, როგორც სახაზინო ქონების მფლანგველები და ყალბი ჩვენებისათვის.

4) ამხ. გიორგი საყვარელიძე ნაციონალიზმისათვის და მენშევიკების მფარველობისათვის.

5) ამხ. ბარანიძე, როგორც სისტემატიური დეზერტირი, რომელიც გაურბოდა პარტიულ მოვალეობის ასრულებას და როგორც „შკურნიკი“.

6) ამხ. ნიკოლოზ ყუფიანი სპეკულიაციისათვის.

7) ამხ. მიხ. ივანეს ძე ტულბა-ტროფიმოვი როგორც საეჭვო.

8) ამხ. ა. ცხაკაია მერყეობისათვის და მენშევიკებისკენ გადახრისათვის.

9) ამხ. იაკობ ბერგოპორგ, როგორც მავნე ელემენტი, რომელიც სახელს უტეხდა საბჭოთა ხელისუფლებას და როგორც უღირსი კომუნისტის სახელის ტარებისა.

10) ამხ. ლაზარ თუმანიანი თავის სასარგებლოდ პურის წონის დაკლებისათვის, პარტიაში რეამილიტაციით შესვლის უფლებით.

11) ამხ. ტოლსტიკოვი მე 4 რაიონული კომიტეტის დადგენილების თანახმად.

12) ამხ. ნიკიტა ტურქია საქმის გადაუსინჯავად გამორიცხულ იქნას პარტიიდან.

მიეცა შენიშვნა:

1) ამხ არტ. გრიგ. აკოპოვი აღდგენილია პარტიის წევრად და მიღებული აქვს სასტიკი შენიშვნა, საზოგადოებრივ ადგილებზე მთვრალად გამოცხადებისათვის, გლეხების მიმართ ბიუროკრატიზმისათვის, რომელიც არ უწევდა ანგარიშს პარტიულ კომიტეტებს და ხელს უტეხდა მას.

2) ამხ. ვილიამ (ვასილ) ნირკ. ლოთობისათვის პარტიულ ბილეთში შეტანით.

3) ამხ. ს. ახობაძე, რომელმაც უარი განაცხადა პარტშკოლაში სწავლის გაგრძელებაზე ოჯახურ მდგომარეობის მიზეზით, ახალგაზრდობის გამო, მიეცა მხოლოდ შენიშვნა გაფრთხილებით, რომ ასეთი საქციელის განმეორების შემთხვევაში გაძევებული იქნება პარტიიდან.

განწმენდის შემდეგ დამტკიცებული არიან პარტიის წევრებად.

ამხ შ. ფ. ჯაფარიძე 1905 წლიდან.

1917 წლიდან: გრიგორ ბაქრაძე, ალი მახმატ, სიმონ კაჩარო, ერნ კრონტალი, ევტიხი ყაჭეიშვილი, ანდ. ვლად. ოსიპოვი, სულუხია გიორგი გიორგის ძე, ქვარიანი აბ. მაკ. შუკოკიძე გრ. ედიშ., შახნაზაროვა ტ. ა., გრიგოლია ვლად. პლატ., ჭყონია პოლ სოლ, დვალი იმ. დემ., საგარიძე ტ. გ., კიზირია ი. დ., მაილოვა-საგ გავ, შნეიდერი ა. კ. ოკუჯავა ო. ო.

2) 1918 წლიდან: ტრ. მელ. შარიქაზე, კურაშვილი ო. მ., გაგუა აკ. მ., თოდუა ვ. ს., გუმბარიძე გ. ი.

3) 1919 წლიდან: ამხ. ბაგა ალი, ცატუროვი არამ, სერ. პ. კალანდაძე, სერუშვილი ნ. გ., არზანი ტ. გ. კირაკოსიანი ა. მ., შარიკაძე ტერმელ.

4) 1920 წლიდან: ვოლკოვი გიორგი, გრიგოლია ანდ. პავ., ცინცაძე არტ. ტიგ., კობახიძე, სახელაშვილი გ. ვ.

5) 1921 წლიდან: კუკნაძე გ. ვ., ფუტკარაძე ნ. ს., ებრალიძე ივლ., გვენეტაძე მოსე ლუკას ძე.

6) 1922 წლიდან: ალმაზ ვალიევი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკანტროლო კომისიის წევრები: **კანდელაკი, რთველაძე, კვარაცხელია, მეგრელიშვილი, ხოლოვიანი.**

მდივანი ს. კ. პ. ც. ს. კ **ნუცუბიძე.**

მუშათა შორის

კრებები და მიტინგები

ცეცხლის მქრობელ რაზმის მუშათა საერთო კრებაზე ამხ. ალავერდოვამ გააკეთა მოხსენება სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის პროცესის და 24 და 26 მაისს მომხდარ მენშევიკურ პროვოკაციის შესახებ.

1-ლი და მე-2-ე ნაწილის მუშებმა თითქმის ერთხმად გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია „ესერების პარტია არის პარტია წვრილი ბურჟუაზიისა წვრილ მეზჩანობისა, იმ სოციალურ წრისა, რომელიც ერთის მხრივ იბრძვის კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგ და მეორეს მხრივ ეშინია პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისა.

ესერების პარტია, რომლის შინაარსი არის წვრილი ბურჟუაზიის სტიქია, გამოხატავდა ამ წრეების სრულ უსრულებლობას და გამოურკვევლობას. პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიამ დაიწყო აქტიური ბრძოლა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გამოჰქონდა რა თვისი რეაქციონური სოციალიზმის ძველი რევოლიუციონური ლოზუნგები.

რუსეთის ესერების გაერთიანებულ პარტიას იცავს 2 და 2 ნახ ინტერნაციონალი, იცავს იმ პარტიას, რომელიც ემსახურება წვრილ ბურჟუაზიას, და რომლის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასს, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ მოუხდება სასტიკი ბრძოლის წარმოება.

ევროპის სოციალისტების წინამძღოლთა ბლოკი მსოფლიო რეაქციასთან აშკარაა პროლეტარულმა ხელისუფლებამ უნდა გაასამართლოს ესერების პარტია: ათეულ ათასობით მოკლულ და დახვრეტილ მუშებისა და გლეხებისათვის, დარბევისათვის, ხიდების აფეთქებისათვის, ანტონოვის, მერკულოვის, მახნოს და ყველა სხვა ბანდიტებთან თანამშრომლობისათვის. შორს არ არის ის საათი, როდესაც ბელგიის, გერმანიის და საფრანგეთის მშრომელები გაასამართლებენ მუშათა კლასის მოღალატეებს.

ესერულ კონტრ-რევოლიუციონერების ღირსეულ წამბაძველებად ჩვენში არიან ქართველი მენშევიკები, რომელთაც 24 და 26 მაისს განიზრახეს მოეწყოთ გაფიცვები. ქართველი მენშევიკები არიან ბლოკაში ქართველ თავად-აზნაურებთან და ბურჟუაზიასთან, ნაციონალ დემოკრატებთან შოვინისტურ ინტელიგენციასთან, მემარჯვენე სოციალისტ ფედერალისტებთან, რომელთა პროვოკაციონულ გამოსვლებს ვგმობთ მთელის აღშფოთებით.

ჩვენ, მუშები ამ პარტიის და ქართველი მშრომელი ხალხის გამცემლების წინააღმდეგ პირველ საჭიროებისთანავე მივმართავთ მთელს ჩვენ ძალ ღონეს.

გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს.

პროვინციაში

სად. შორაპანი.

ა/წ. 3 ივნისს შესდგა შორაპნის მუშათა კლუბში, ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა და შავი ქვის გადამტვირთავი მუშების საერთო კრება. თავმჯდომარედ იქნა არჩეული შორაპნის სამაზრო პარტკომის პ. მ. მდივანი ამხ. ვ. კუპატაძე, მდივნად მშვენიერაძე.

მოხსენება გააკეთა გენუის კონფერენციის და მუშათა ერთიანი ფრონტის შესახებ ამხ. ს. გამშაროვმა და აღნიშნა ევროპის კრიტიკული მდგომარეობა და ის მიზეზები, რომელმაც აიძულა ანტანტის სახელმწიფოები მოეწვიათ გენუის კონფერენცია და დაესწროთ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებიც. ნათლად აღნიშნა კონფერენციის მსვლელობა და საბჭოთა დელეგაციის პოზიცია და კონფერენციის, შედეგები.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ მოხსენება ამხ. გამბაროვისა შორაპნის რკ. გზ. და შავი ქვის გადამტვირთავ მუშათა გაერთიანებულმა საზოგადო კრებამ გენუის კონფერენციის და მუშათა ერთიანი ფრონტის შესახებ, ვცნობთ საბჭოთა დელეგაციის პოზიციას კონფერენციაზე სწორათ და მიზანშეწონილად რის შედეგია ის ბრწყინვალე გამარჯვება საბჭოთა ფედერაციისა ამ კონფერენციაზე, რაც გამოიხატება გერმანიასთან დადებულ ხელშეკრულებაში, ანტანტის დაშლაში და იმ უდიდეს მორალური ხასიათის გამარჯვებაში, რასაც მოწმობს საერთა-შორისო პროლეტარიატის მიერ საბჭოთა დელეგაციისათვის მხურვალე თანაგრძნობის გამოცხადება. მიესალმება რა საბჭოთა რესპუბლიკების ამ გამარჯვებას, შორაპნის რკ. გზ. შავი ქვის ვაგონის მუშათა გაერთიანებული კრება ზიზღს უცხადებს 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალების ბელადებს და მსოფლიო მენშევიზმს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნას; და ამით ცდილობენ დაეხმარონ სასიკვდილოთ განწირულ ბურჟუაზიულ მსოფლიოს. გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის გამარჯვება მომასწავებელია მსოფლიო ბურჟუაზიის დაუძლურების და შორს არ არის ის დრო როდესაც პროლეტარიატი ერთიანი ფრონტით ძლევამოსილ გადამწყვეტ შეტევაზე გადავა მის წინააღმდეგ და საბოლოოდ დაამხობს მას.

სერგო ზარნელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალისაგან.

თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ა. წ. 25 აპრილის თარიღით დამტკიცებულ დადგენილების № 3 მე 6 მუხლისა, საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალის პირველ ხარისხის სასამართლო-დაწესებულებათ გარდაქმნის შესახებ, ამიერიდან უკანასკნელი ღებულობს თავის წარმოებაში და სასამართლოში განსახილველად განკერძოებით ყურადსაღებ საქმეებს, თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ყოველ კერძო შემთხვევაში დადგენილებისა.

საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალის გარდაქმნასთან ერთად, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის იმავ № 3 დადგენილების I მუხლის ძალით დაარსდა ქ. თბილისში და დაიწყო მოქმედება აღმოსავლეთ საქართველოს ტრიბუნალმა, რომელიც მოქმედებს, თანახმად რევტრიბუნალების დებულებისა და ღებულობს თავის წარმოებაში საქმეებს ჩვეულებრივ წესით, რომლებიც გათვალისწინებული არის იმავ დებულების მე II მუხ. ყველა ის საქმეები, რომლებიც აწ პირველ ხარისხის სასამართლო დაწესებულებათ გარდაქმნილ უზენაეს რევტრიბუნალს არ ექვემდებარებიან, არამედ, თანახმად დებულების მე 7 მუხლისა ექვემდებარებიან რევტრიბუნალებს და რომლებიც აღიძრებიან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ამიერიდან ზემონაჩვენებ წესის მიხედვით, უნდა იქნან წარდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტრიბუნალის განკარგულებაში.

მიუხედავათ ამისა დაწესებულებები, რომლებთაც, რევოლიუციონურ ტრიბუნალების დებულების მე 2 მუხლის ძალით, საქმეების და კვლევა ძიებების დაგზავნის უფლება ეძლევათ, განაგრძობენ ასეთების გზავნას საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალში, რითაც არღვევენ მიღებულ წესს.

ზემოაღნიშნულისა გამო საქართველოს უზენაესი რევტრიბუნალი წინადადებას აძლევს ყველა სათანადო დაწესებულებათ, რომ მათ იხელმძღვანელონ რევტრიბუნალების დებულების მე-2 მუხლით და ამიერიდან საქმეები და კვლევა-ძიებები წარადგინონ აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის განკარგულებაში.

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში:

1) ბაგრატი ზანთარია, 2) ბორისი ბოსსორია, 3) ალექსანდრე პაჩევი, 4) გიორგი ბელელაძე და 5) სვიმონი დარახველიძე.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **რუბენი.**

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე 4 რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ მე-4 რაიონული კომიტეტის აღმრიცხავ-საინფორმაციო ქვე-განყოფილებაში. ვინც არ გამოცხადდება ჩაითვლება მე-4 რაიონული ორგანიზაციიდან გამორიცხულად.

1) მახარაძე გიორგი, 2) სოკოლინსკაია ევგენია, 3) განდაბაძე დარო, 4) კვარაცხელია გ. პ., 5) რუდაკოვი სერგი, 6) სამოილოვი ანტონ, 7) საფაროვსკი იაკობ, 8) მალკინი, 9) ჩიხრაძე იაკით, 10) ჩანტურია ისიდორე, 11) სირაძე აბიატორი, 12) მეტრეველი მაქსიმე, 13) დოლიძე იპოლიტე, 14) გოგიჩაიშვილი ალექსი, 15) ბუჯიაშვილი ნიკოლოზ, 16) ზავარიანი ნუშიკ, 17) კომიაკანოვი პეტრე ანდრიას ძე, 18) კრუაშვილი ილია, 19) გორდეევი ვასილ, 20) ბულავიცკი მიხ., 21) ფელდმანი ც., 22) ბუჩიძე პეტრე, 23) კიკნაძე გიგო, 24) მუსიევა, 25) დემუროვი გარეგინი, 26) დუბროვინა, 27) აფანასიევი, 28) დონსკოი, 29) ბუქაშვილი, 30) ბაგდოევი, 31) ვინცკოვსკი, 32) ავდეევი გიორგი, 33) ჯილოვდაროვი ალექს., 34) ჯანჯღავა ლავრ., 35) მოღრაიძე გრიგოლ, 36) სპიდაინ ერნა, 37) იაშვილი კოლ., 38) არტემიევი ბენიამინი, 39) ავდოშვილი თედორე, 40) აკსენჩენკო თედორე, 41) ბალადინი ვასილ, 42) ბოლშაკოვი პავლე, 43) ბონდარენკო ივანე, 44) ვასილიევი ნიკოლოზ, 45) გრებიუკ ნიკიტა, 46) ზუსკოვი არტემ, 47) ზვობკუევი ათანასე, 48) ტაუტინა ზინა, 49) ილჩენკო ვასილ, 40) კრავჩენკო ივანე, 51) კიდნოვი პავლე, 52) კოლჩანოვი თედორე, 53) კრაინოვი ივანე, 54) კლემჩანოვი ევდოკ., 55) ლავრენტიევი დიმიტრი, 56) ლეშჩევი ალექსი, 57) ლევბაკოვ ეგორ, 58) ლობანოვი ანტ., 59) მტევინენკო ფილიპე, 60) მინინი პეტრე, 61) მოცკო ანდრო, 62) პოხვალინი მიხ., 63) პოგუბინი კონსტანტინე, 64) პერჩიევი სურენ, 65) პეტრენკო ივანე, 66) როკუნოვი ილია თედორეს ძე, 67) სმოსლოვი ვასილ, 68) სულესვირამ., 69) სვირია ნიკოლოზ, 70) სიავტინი ნიკოლოზ, 71) ფატისოვი პანტ., 72) ჩუბიკინი ივანე, 73) შილია ავქსენტი, 74) ართილაკოვისა სოფიო, 75) გეგეჭკორი ნადეჟდა, 76) გეგეჭკორი გრიგოლ, 77) ხარაბაძე დავით, 78) ხოშტარია სიმონ, 79) ჩეკლაკოვი ნიკოლოზ, 80) კირაკოზაშვილი ნიკოლოზ, 81) ავდეევი გიორგი, 82) ბრემან იან პეტროვი, 83) დონენკო ნიკოლოზ, 84) ზაიცევი ნიკოლოზ მიხ., 85) ივაშკო იოსებ, 86) ნეჩაევი იოსებ, 87) ოლინი არნოლდ პეტრეს-ძე, 88) პოკემოვი მიხაილ, 89) პლეშკოვი ნიკოლოზ-მარკოვი, 90) პრიპეჩკო პოლიკ., 91) სოლოვიევი სერგი, 92) სტრუკოვი, 93) ჩარუშნიკოვი ვიკენტი, 94) სენკო ვლას, 95) ვარსილაშვილი გიორგი, 96) მალაფეევისა მარიამ, 97) ჯაფარიძე შალვა, 98) შებარშინი სტეფანე.

მე 4 რაიონულ კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ალავერდოვა.**

სარედაქციო კოლეგია.

გაზეთის ტრესტი

კრინის გზების კიოსკების განყოფილება

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

გაიხსნა კიოსკები რკინის გზის შემდეგ სადგურებზე: **თბილისი, მიხაილოვი, შორაპანი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ქუთაისი, ფოთი, ბათომი.**

სწარმოებს გაყიდვა: ადგილობრივ და სატახტო ქალაქების გაზეთების **და ჟურნალების, ლიტერატურულ წიგნების, საკანცელარიო და საწერ ნივთების.**

ამ დღეებში გაიხსნება კიოსკები აზერბეიჯანსა და სომხეთში.

მთავარი კანტორა იღებს გასავრცელებლად ყოველგვარ გამოცემას.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გრძელდება ხელის მოწერა თბილისის ყველა გაზეთებზე ივნისისათვის ხელის მოწერის ფასი იგივეა რაც იყო წინად. ხელის მოწერა შეიძლება ყოველ დროს წლის დამლევამდე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ხელის მოწერის ფასმა აიწია, დასამატი ღირებულებაც შემოტანილ უნდა იქნას. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვეებისათვის. იმ ხელის მომწერთ, რომელნიც ხელის მოწერის ფასს არ შემოიტანებენ 30 მაისამდე, გაზეთების მიწოდება შეუწყდებათ.

გაზეთის ტრესტი

საექსპედიციო განყოფილება

რუსთაველის პროსპ. № 24

საჭიროა კონტრაგენტი გაზეთების გასავრცელებლად თელავში, ჭიათურაში, ბორჯომში და მის რაიონებში. (5—3)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა

სამმართველო

ამით აცხადებს, რომ თანახმად ოლქის განკარგულებისა, ამა თიბათვის 2[illegible]-დან სახ. კომისარიატების, საბჭოთა და კერძო დაწესებულებების, ორგანიზაციების, [illegible] რკინის გზათა [illegible] ნება [illegible]

[illegible] რა ამის, რკინის გზათა სამმართველო სთხოვს ყველა დაწესებულებებს, [illegible] რათა 20 [illegible] თიბათვის [illegible] 20-დან რკინის გზა [illegible] რომელიც [illegible] (3—2)

ქ. თბილისის მე-10 რაიონის სახ. მოსამართლე

[illegible] რათა გამოცხადდეს [illegible] შესახებ.

1—1) სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს)

დაიკარგა

ზაქარია ალექსის ძე [illegible] თბილისის [illegible] მილიციის უფროსის მიერ მიცემული. (2—2)

დაიკარგა [illegible] სახელზე [illegible] უნივერსიტეტიდან მიცემული მატრიკული № 5212. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1—1)

ტირაჟი 10,000.

ნ. დ. ს. ც.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.